საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 154 (2070) | პარასკევი, 27 ოქტომბერი, 1995 წელი. | ფასი 25 თეთრი.

ედუარდ შევარდნაძე:

„საქართველო გახდება ევროპა-აზიის დამაკავშირებელი კვანძი“

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ ფოთი, რომელსაც თავს დაატყდა სამოქალაქო ომის, ნგრევისა და ქაოსის ყველა უბედურება, შეძლებდა იარების მოშუშებას ასე მოკლე ვადაში. მაგრამ 26 ოქტომბერს ჩამოსულ სტუმრებს — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძესა და მის თანმხლებ პირებს შეეგება მკაფიო სამომავლო გეგმებითა და იმედებით აღსავსე ქალაქი.

ფოთი, უწინარეს ყოვლისა, მისი ნავსადგურია. ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს მეთაურიც პირველად სწორედ ნავსადგურს ეწვია. ნავსადგომთან სტუმრებს ელოდა „კომეტა“ — ფოთელ გემთმშენებელთა პირმშო. გემის ეს „ეგზემპლარი“ დააპროექტეს და ააგეს, შეიძლება ითქვას, ცარიელ ადგილზე, ელექტროენერგიის, მასალების, პარტნიორებთან ერთბაშად გაწყვეტილი კავშირურთიერთობის პირობებში. მაგრამ მას მაინც აშენებდნენ და ამას ჰქონდა არა იმდენად მატერიალური, რამდენადაც მორალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. ადამიანები ისწრაფვოდნენ აღედგინათ რწმენა საკუთარი ძალებისა, რომელიც, როგორც ცნობილია საყოფიერო შრომის პროცესში უფლება ხოლმე ადამიანს. სახელმწიფოს მეთაურმა ამ „კომეტა“ დაათვალიერა ნავსადგურის აკვატორია, რომლის რეკონსტრუქცია სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს.

თურმე, ამ დროის განმავლობაში ქალაქის არც სხვა საწარმოთა მშრომელები მსხდარან გულხელდაკრეფილი. ამას მოწმობს ბიზნეს-ცენტრში წარმოდგენილი პროდუქციის ნიმუშები. საწარმოთა ხელმძღვანელებმა ედუარდ შევარდნაძეს მიაწოდეს დაწვრილებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სამუშაო რიტმი თანდათანობით დგება ნორმალურ კალაპოტში, ილაპარაკეს კონკრეტულ სამომავლო გეგმებზე.

სახელმწიფოს მეთაური დაესწრო თურქეთ-საქართველოს შეზღუდული პასუხისმგებლობის ერთობლივი საზოგადოება „საქართველოს ელექტროკავშირგაბმულობის“ გახსნას. აქ საკმაოდ მოკლე ვადაში დაამონტაჟეს 3.000-ნომრიანი სატელეფონო სადგური, საზღვარგარეთელი სპეციალისტების მიერ დადგმული უახლესი მოწყობილობა საშუალებას იძლევა ეგრეთ წოდებული შორეული აღმოსავლეთის ნებისმიერ აბონენტს სულ რამდენიმე წამში დაუკავშირდნენ. ესეც კარგ სამსახურს გაუწევს ადგილობრივ ბიზნესმენებს, რომლებსაც ახლა აღარ ექნებათ არავითარი სირთულეები საზღვარგარეთელ პარტნიორებთან ინფორმაციის გაცვლისას. სადგურის გახსნას ესწრებოდა თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში თევფიქ ოქიაუზი.

ნაშუადღევს ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა ქალაქის აქტივის კრება. შეკრებილთა წინაშე მოხსენება გააკეთა ქალაქის მერმა ნუგზარ ნადარაიამ, რომელმაც წარმოადგინა ფოთში შექმნილი რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების თაობაზე სახელმწიფოს მეთაურის მიმდინარე წლის 7 ივნისის განკარგულების შესრულებისათვის გამიზნულ ღონისძიებათა კომპლექსური პროგრამა. იგი შეეხო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება იმით, რომ ფოთის ნავსადგურიდან ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ უკანონოდ გაიტანეს დიდძალი ტვირთი. ქალაქის მერმა ილაპარაკა ნავსადგურის მომავალ რეკონსტრუქციაზე, რაც მის გამტარუნარიანობას წელიწადში თითქმის 40 მილიონ ტონამდე გაზრდის. დასვა საკითხი თავისუფალი სავაჭრო-სამრეწველო ეკონომიკური ზონის შექმნის თაობაზე.

კრებაზე გამოვიდა სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. მან დამსწრეთ აღუთქვა საქართველოს ხელისუფლების ყოველმხრივი მხარდაჭერა ქალაქის განვითარების გეგმის განხორციელებაში და განაცხადა, რომ ამ დღეებში მოაწერენ ხელს ბრძანებულებას აქ თავისუფალი სავაჭრო-სამრეწველო ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ. ამავე დროს ედუარდ შევარდნაძემ შენიშნა, რომ ასეთი ზონის შექმნის პირველი ჩანასახი შეინიშნებოდა ჯერ კიდევ ეგრეთ წოდებული ფოთის ექსპერიმენტის განხორციელების დროს. მაგრამ, სამწუხაროდ, მუშაობა ამ მიმართულებით შეწყდა, რამაც მნიშვნელოვნად დაამუხრუჭა საქმე. მაშინ ასეთი ექსპერიმენტის განხორციელება დაკავშირებული იყო დიდ სირთულეებთან, რადგან დასაძლევი იყო პარტიულ-სანომენკლატურო ბიუროკრატიის გააფთრებული წინააღმდეგობა. ახლა კი თვით ცხოვრება ითხოვს ჩვენგან ინიციატივიან მუშაობას, განვითარების ახალი გზების ძიებას. ქვეყნის წინაშე რეალურად ისახება დიდი პერსპექტივა — საქართველო შეიძლება გახდეს სატრანზიტო კვანძი ევროპასა და აზიას შორის. ამ შემთხვევაში განუზომლად იზრდება ფოთის მნიშვნელობა. ედუარდ შევარდნაძემ გაიხსენა საუბრები დასავლეთის ქვეყნების ზოგიერთ მოღვაწეებთან ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ირგვლივ. მაშინ ეს იდეა ოცნების შარავანდედით უფრო იყო მოსილი. მაგრამ გავიდა დრო და იდეამ შეისხა ხორცი — ევროგაერთიანებამ ცნო იგი და უკვე გამოყო სახსრები შესაბამისი პროექტის შემუშავებისათვის. ამ დერეფნით უნდა გაედინოს ტვირთის უზარმაზარი ნაკადი და ჩვენი ინფრასტრუქტურა მზად უნდა იყოს მისი გადამუშავებისათვის. ყოველივე ამას უნდა დავუმატოთ ის ტვირთიც, რომელსაც მიიღებს ფოთის ნავსადგური კასპიის ნავთობის მოპოვებისათვის. აქ დღის წესრიგში დადგება ნავსადგურისა და რესპუბლიკის რკინიგზის, დასავლეთ საქართველოში განლაგებული აეროდრომების, კერძოდ, სენაკის აეროდრომის სინქრონული მუშაობის ორგანიზების საკითხი, რომელსაც შეუძლია მიიღოს დიდი ტვირთამწყობის ავიალაინერები.

სახელმწიფოს მეთაური შეეხო გემთსაშენებელი და გემთშემკეთებელი წარმოების განვითარების საკითხებს, აღნიშნა, რომ მან პერსპექტივისათვის უნდა შეიტანოს თავისი წვლილი საკუთარ სამოქალაქო და სამხედრო გემთმშენებლობის საქმეში. მაგრამ ახლა ბევრი რამ ხელახლა დასაწყებია პრაქტიკულად ნულოვანი ნიშნულიდან. ავიღოთ, თუნდაც თევზჭერა. თავის დროზე ქართველი მებადურები მარტო ქაფშიას წელიწადში 100-130 ათასი ტონის ოდენობით აბარებდნენ. შემდეგ დარგი ფაქტობრივად მთლიანად მოიშალა და ახლა ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი ენთუზიასტებს, რომლებიც მის აღორძინებას აპირებენ.

ედუარდ შევარდნაძე შეეხო შავი ზღვის პრობლემებს, ილაპარაკა ფოთის ელექტროენერგიით უზრუნველყოფაზე. ეს საჭიროა იმისათვის, რომ მივაღწიოთ ქალაქის საწარმოების, მისი ნავსადგურის შეუფერხებელ მუშაობას, რომელსაც უშუალოდ უკავშირდება რკინიგზა. მან განაცხადა, რომ უახლოესი თვეების განმავლობაში დასრულდება სარემონტო სამუშაოები რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთზე და იქედან წამოვა ტვირთი, პარალელურად დაიწყება ლტოლვილთა დაბრუნებაც.

იმავე დღეს სახელმწიფოს მეთაური ჩავიდა სამტრედიაში. იქ იგი ეწვია ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმს მის მშობლიურ სოფელ დიდ ჯიხაიშში, შეხვდა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, დაათვალიერა მთელი რიგი საწარმოები, რომლებმაც დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ განაახლეს მუშაობა, მოინახულა საავადმყოფო, ესაუბრა მის სამედიცინო პერსონალს.

შემდეგ გაიმართა იმერეთის რეგიონის აქტივის კრება. ორატორებმა — სამხარეო ადმინისტრაციის მეთაურმა თეიმურაზ შაშიაშვილმა, მთელი რიგი რაიონების ადმინისტრაციათა ხელმძღვანელებმა, ბიზნესმენებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების გამოცოცხლება შესაძლებელი გახდა დამნაშავეობის, მაფიოზული კლანების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის წყალობით; ილაპარაკეს მეჩაიეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის აღორძინების პრობლემებზე.

დამსწრეთა წინაშე გამოვიდა ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობამ თავის დროზე დაიწყო უაღრესად რთული, მაგრამ ამავე დროს ძალზე საჭირო ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ, რომელშიც ამჟამად, შეიძლება ითქვას, გამარჯვებას მივაღწიეთ და ეს ეხება არა მარტო „მხედრიონს“, არამედ რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის იმ სტრუქტურებსაც, რომლებსაც მიაყენა ზიანი ამ სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის იგორ გიორგაძის ანტისახელმწიფოებრივმა საქმიანობამ. ახლა, განაცხადა მან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ამ ბრძოლის მეორე რაუნდსაც მოვიგებთ, რომელიც კორუფციის წინააღმდეგ არის მიმართული. შეეხო რა რეფორმებს, ედუარდ შევარდნაძემ შენიშნა, რომ მათ მოჰყვა ცხოვრების პირობების გაუარესება ქვეყანაში, მაგრამ სხვა გზა არ იყო და ხალხმა გაიგო ეს. ახლა რეფორმა შევიდა გადამწყვეტ ფაზაში — მიმოქცევაში შემოღებულია ეროვნული ვალუტა. ეჭვი არ არის, რომ რამდენიმე თვის შემდეგ იგი ახალ თვისებას შეიძენს. ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს დასავლეთის ქვეყნების, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ფართო მხარდაჭერა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სწორ გზას ვადგავართ და იგი უთუოდ მიგვიყვანს საქართველოს იმ მიჯნებთან, რომელსაც ესწრაფვის ხალხი.

თენგიზ გრიგალაშვილი,
საქინფორმის კორ.

მოვლენის წინ

ხვალ თბილისობაზე

28-29 ოქტომბერს. ჩვენი დედაქალაქის ყველა რაიონში გაიმართება თბილისობის ზეიმისადმი მიძღვნილი საშემოდგომო ბაზრობა. ამ დღისათვის რესპუბლიკის ყველა რაიონიდან თავიანთ ჭირნახულს ჩამოიტანენ აჭარისა თუ ქართლ-კახეთის მეციტრუსეები, მევენახეები, მებაღეები თუ მეცხოველეები.

გთავაზობთ დედაქალაქის რაიონების მიხედვით იმ ადგილებს, სადაც საშემოდგომო ბაზრობები გაიმართება და დაგისახელებთ რესპუბლიკის იმ რაიონებს, რომლებიც მითითებულ ტერიტორიებზე შემოგვთავაზებენ თავიანთ ჭირნახულს.

ცენტრალური საშემოდგომო ბაზრობა გაიმართება რიყეზე, სადაც უხვ მოსავალთან ერთად, აქ მოსულ თბილისელებს მრავალი საინტერესო საზეიმო სანახაობა ელით.

ნაძალადევის რაიონში ბაზრობისათვის ტერიტორია გამოყოფილია თემქაში, სამშობიარო სახლის წინ და გურამიშვილის გამზირზე, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლთან. აქ თავიანთ პროდუქციას ჩამოიტანენ აბაშის, ხობის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, თერჯოლის, თეთრი წყაროს, ჩოხატაურის მშრომელები.

გლდანის რაიონში ბაზრობა მოეწყობა გლდანის V–VI მიკრორაიონებს შორის, აგრეთვე მუხიანის დასახლებაში, დუმბაძის გამზირზე, სადაც სამტრედიის, ჭიათურის, წყალტუბოს, თიანეთის და საჩხერის გლეხკაცობა ჩამოიტანს ხილს, ბოსტნეულს, ფქვილსა და სხვა პროდუქტებს.

კრწანისის რაიონში ბაზრობა გაიმართება გორგასალის მოედანზე და ქვემო ფონიჭალაში. ამ ადგილებს მოემსახურებიან ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, მესტიის, ბოლნისის, გარდაბნის მშრომელები.

საბურთალოს რაიონში ბაზრობები მოეწყობა სპორტის სასახლესთან, ვაჟა-ფშაველას გამზირის დასაწყისში, დიდ დიღომში. აქ ივაჭრებენ ზუგდიდიდან, სენაკიდან, მარტვილიდან, წალენჯიხიდან, ჩხოროწყუდან და თელავიდან ჩამოსული მესიმინდეები და მევენახეები.

ისნის რაიონში ბაზრობისათვის შერჩეულია ქეთევან წამებულის მოედანი, სადაც თავიანთ ჭირნახულს შემოგვთავაზებენ აჭარის, ყვარლის, ახმეტის, კასპის, ხაშურის რაიონებიდან ჩამოსულები.

სამგორის რაიონში ბაზრობისათვის გამოყოფილია საავეჯო კომბინატ „განთიადის“ ტერიტორია და ლილოს დასახლების მთავარი მოედანი. აქაურებს თავიანთ მოსავალს ჩამოუტანენ გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ქარელის მევენახეები და მეხილეები.

მთაწმინდის რაიონში ბაზრობა გაიმართება ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე, კოსტავას ქუჩაზე, სადაც თავიანთ მოსავალს გაჰყიდიან საგარეჯოს, ლაგოდეხის, გორის, ბაღდადის, ვანის, ზესტაფონის, ხარაგაულის მშრომელები.

ვაკის რაიონში ბაზრობა მოეწყობა თბილისის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ყაზბეგის გამზირზე კაფე „ჩარგალთან“ და ნუცუბიძის ქუჩის დასაწყისში. აქ ივაჭრებენ დმანისის, წალკის, მარნეულის, ბორჯომის, ახალციხის, ქუთაისიდან ჩამოსულები.

დიდუბის რაიონში ბაზრობისათვის შერჩეულია შემდეგი ადგილები — აღმაშენებლის გამზირზე, რკინიგზელის სახლთან, წერეთლის გამზირზე, გამოფენასთან და დიღმის მასივში, ე. წ. „უნივერსამთან“. მათ მოემსახურებიან სიღნაღის, წინოწმინდის, ახალქალაქის, ადიგენის, ასპინძის მშრომელები.

ჩუღურეთის რაიონში ბაზრობა გაიმართება მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლთან და მარჯანიშვილის მოედანზე. მათ თავიანთ მოსავალს შესთავაზებენ მცხეთიდან, ახალგორიდან, დუშეთიდან, ყაზბეგიდან, ტყიბულიდან ჩამოსულები.

აღსანიშნავია, რომ ბაზრობა ყველგან დილის 10 საათიდან დაიწყება და ვაჭრობა მთელ დღეს გასტანს. ჭირნახული შედარებით შეღავათიან ფასად გაიყიდება. ასე რომ, იმედია, ზამთრისათვის კარგად მოვემზადებით.

> **„...საკითხი, რომელიც, ასე თუ ისე, ეკონომიკასთან არის დაკავშირებული და მოსახლეობის დიდ ინტერესს იწვევს, ეს გახლავთ „თბილისობა“. მიმდინარე კვირა თბილისობას ეძღვნება. გასულ წლებთან შედარებით წელს უხვი შემოდგომაა, მოწეულია მეტი ყურძენი, ხილი, მარცვლეული, კარტოფილი, ბოსტნეული, მეცხოველეობის პროდუქცია. „თბილისობისთვის“ მზადების პროცესში ჩართული არიან თბილისის მერია, სამხარეო და რაიონული რგოლები. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ცნობით, დედაქალაქში ჩამოტანილი იქნება ფართო ასორტიმენტის პროდუქცია: ხორბალი, სიმინდი, ხორცი, ყველი, კარტოფილი, ლობიო, ზეთი, ღვინო, ყურძენი, თაფლი, თევზი, ციტრუსი, ბოსტნეული და სხვა ის პროდუქტები, რომლებიც ესოდენ სჭირდება ზამთრის დამდეგს ქალაქის მოსახლეობას. შეიძლება ისეთი რაოდენობით არ იყოს, რომ მთლიანად დააკმაყოფილოს მოთხოვნილება, მაგრამ შეღავათი უდავოდ დიდი იქნება. მაგრამ არც მრეწველობის დარგები უნდა დარჩნენ ვალში სოფელთან, და მე ამას განსაკუთრებით ვუსვამ ხაზს. მათ რაიონებიდან ჩამოსულებს უნდა დაახვედრონ საჭირო და აუცილებელი სამრეწველო პროდუქცია, განსაკუთრებით ის, რაც მოსახლეობის გამოზამთრებასთან არის დაკავშირებული. დარწმუნებული ვარ, ეს ასეც იქნება. „თბილისობა“ დიდ საერთაშორისო მასშტაბის ვაჭრობად გადაიქცევა. სწორედ ასეთ საშვილიშვილო საქმეს ეყრება საფუძველი ძველი შესანიშნავი ტრადიციის აღდგენითა და მისი ახლებურად გააზრებით“.**
>
> **ედუარდ შევარდნაძე.**
> (23 ოქტომბრის რადიოინტერვიუდან).

საქართველოს პროკურატურისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა წინასწარ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც აღძრულია 1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის მიმართ ტერორისტული აქტის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით.

გამოძიების პროცესში შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე აღნიშნულ ტერორისტულ აქტში თანამონაწილეობისათვის გამოტანილია დადგენილებები იგორ პანტელეიმონის ძე გიორგაძის, იური ედვარდის ძე გულიევისა და ედუარდ გიორგის ძე ნასყიდაშვილის საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 17. 67 მუხლის IV ნაწილით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულთა მიმალვის გათვალისწინებით 1995 წლის 26 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მიერ სანქცირებულია გიორგაძის, გულიევისა და ნასყიდაშვილის დაპატიმრება და გამოცხადებულია მათი ძებნა.

გამოძიების მონაცემებით, დასახელებული საშიში დამნაშავეები იმყოფებიან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, კერძოდ, კი ქ. მოსკოვში, რაც დასტურდება აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, მათ შორის, რუსეთის ტელევიზიის ცნობებითაც.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის ვ. ს. ჩერნომირდინის ოფიციალური ვიზიტის დროს ქ. თბილისში ა. წ. 15 სექტემბერს, სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირების დონეზე ხელმოწერილი იქნა სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულება „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“, სადაც ღიად აისახა სახელმწიფოთა ორმხრივი ინტერესი და სურვილი ითანამშრომლონ სამართლებრივი ურთიერთდახმარების სფეროში. ხელშეკრულების ხელმოწერამდე რამდენიმე წლით ადრე საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ და რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ იკისრეს ვალდებულება ერთურთს აღმოუჩინონ სამართლებრივი დახმარება კონკრეტულ სისხლისსამართლებრივ საქმეებთან დაკავშირებით, და, ხელმძღვანელეს რა მხარეთა კეთილი ნებით, 1992 წელს გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ნაყოფიერად თანამშრომლობენ. საქართველოს პროკურატურას შეუსრულებია რუსეთის გენერალური პროკურატურის არაერთი შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების სფეროში. არსებული ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზისა და დამნაშავეთა გადაცემის სფეროში საერთაშორისო სამართლის პრაქტიკის მოთხოვნათა სრული დაცვით, 1995 წლის 26 სექტემბერს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელობას გიორგაძის, გულიევისა და ნასყიდაშვილის ადგილსამყოფლის დადგენის, დაპატიმრებისა და მათი შემდგომი გადაცემის შესახებ.

შუამდგომლობაში მითითებულია ყველა ის აუცილებელი მონაცემი და თან ერთვის ყველა იურიდიული დოკუმენტი, რაც გათვალისწინებულია დასახელებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით. უფრო მეტიც, რუსეთის ფედერაციის პროკურატურას დამატებით გაეგზავნა ამ პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების ასლები.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პროკურატურასა და რუსეთის გენერალურ პროკურატურას შორის ურთიერთობები ბრალდებულთა გადაცემის სფეროში აგებულია არა მარტო საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, არამედ ითვალისწინებს ბრალდებულთა ძებნის, დაკავებისა და გადმოცემის იგივე პროცედურას და იურიდიულ მექანიზმებს, რაც ჩადებულია თანამეგობრობის ქვეყნებს შორის ქ. მინსკში 1993 წლის 22 იანვარს ხელმოწერილ კონვენციაში, რომლის მონაწილე არის რუსეთის ფედერაციაც.

რუსეთის ფედერაციის პროკურატურის ხელმძღვანელობამ, განიხილა რა საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის აღნიშნული შუამდგომლობა და მასზე დართული დოკუმენტაცია, მიიჩნია იგი კანონიერად და საფუძვლიანად და 1995 წლის 28 სექტემბრის № 15-853-95 წერილით დაავალა რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს გიორგაძის, გულიევის და ნასყიდაშვილის ძებნა-დაპატიმრების ორგანიზაცია საქართველოს რესპუბლიკისათვის მათი შემდგომი გადაცემის საკითხის განხილვის მიზნით.

> **დღეისათვის გამოძიების მიერ მოპოვებულია გიორგაძის, გულიევისა და ნასყიდაშვილის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები არა მარტო სახელმწიფოს მეთაურის მიმართ ჩადენილი ტერორისტული აქტის ეპიზოდში, არამედ მათ მიერ სხვა ისეთი მძიმე დანაშაულობათა ჩადენაში, რომლებსაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა.**

ამ გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას ეცნობა რუსეთის პროკურატურის მიერ 1995 წლის 28 სექტემბერს.

სამწუხაროდ, რუსეთის ფედერაციის პროკურატურის ეს დავალება დღემდე არ შესრულებულა.

უფრო მეტიც, რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. კოლესნიკოვმა ერთ-ერთ ინტერვიუში ფაქტობრივად რევიზია გაუკეთა საქართველოს რესპუბლიკის საგამოძიებო ორგანოების მოქმედებას და სრულიად უსაფუძვლოდ თითქმის უარი განაცხადა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გამოხატული ნების და რუსეთის პროკურატურის დავალების შესრულებაზე. ვ. კოლესნიკოვმა, მოითხოვა რა პროკურატურის მიერ სანქცირებულ პირებზე მტკიცებულებების წარდგენა, უნდობლობა გამოხატა სუვერენული სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიმართ, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ პირის დაკავებისა და გადაცემის საქმეთა წარმოების საერთაშორისო პრაქტიკა, მათ შორის რუსეთის ფედერაციის პრაქტიკა, რომელიმე სახელმწიფოსთან არ ითვალისწინებს მტკიცებულებათა გადაცემას პირის დაკავების შესახებ. შუამდგომლობით მიმართვასთან ერთად მტკიცებულებათა შეგროვება, დამაგრება და შეფასება სახელმწიფოს იურისდიქციის სფეროა და მასზე დასტურის მოთხოვნა უპრეცედენტო შემთხვევაა. სამართლებრივი ურთიერთდახმარების სფეროში წლების მანძილზე ჩამოყალიბდა სახელმწიფოთა ქცევის გარკვეული წესები, რომლის თანახმადაც ერთი სახელმწიფო ვერ შეიჭრება მეორე სახელმწიფოს მოქალაქის ბრალეულობა-არაბრალეულობის საკითხის განხილვაში, როდესაც დანაშაული მის სახელმწიფო ტერიტორიაზე არ ჩადენილა. სახელმწიფოს შეუძლია მოსთხოვოს მეორე მხარეს მხოლოდ კანონიერი საფუძველი, ანუ დადგენილება პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რათა გადაწყვიტოს საკითხი პირის დაკავებისა და გადაცემის შესახებ.

შესაბამისად, სინამდვილეს არ შეესაბამება რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსაზრება, თითქოს ამ ხელშეკრულებით მას უფლება აქვს მოითხოვოს მეორე მხარისგან მტკიცებულებების წარდგენა.

რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პროკურატურის კანონიერი მითითების შეუსრულებლობა ეწინააღმდეგება არა მარტო საერთაშორისო ნორმებს, არამედ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებსაც. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის შესაბამისად, პროკურორის მითითება მოკვლევის ორგანოებისათვის (ამ შემთხვევაში შს სამინისტრო) სავალდებულოა შესასრულებლად.

საგულისხმოა, რომ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ შემთხვევაში შეიჭრა რუსეთის პროკურატურის კომპეტენციაში, რომელიც უფლებამოსილი იყო განეხილა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის შუამდგომლობა, რომელმაც იგი მიიჩნია საკმარისად და კანონიერად.

საქმის სპეციფიკიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა, კანონის სრული დაცვით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით უკვე გამოაქვეყნეს ზოგიერთი მტკიცებულება, რაც მოპოვებულია ი. გიორგაძის და სხვათა წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს დანაშაულის სახეებსა და მასთან ბრძოლის საშუალებებს, მაგრამ ზოგიერთი დანაშაული თავისი არსით სცილდება ერთი სახელმწიფოს საზღვრებს და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღებას იპყრობს. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება დანაშაულობანი, მიმართული ისეთი პირების წინააღმდეგ, რომლებიც სარგებლობენ საერთაშორისო დაცვის უფლებით, რაც მხედველობაში არ მიიღო რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ საკითხთან დაკავშირებით პოზიციის შერჩევისას.

დღეისათვის გამოძიების მიერ მოპოვებულია გიორგაძის, გულიევისა და ნასყიდაშვილის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები არა მარტო სახელმწიფოს მეთაურის მიმართ ჩადენილი ტერორისტული აქტის ეპიზოდში, არამედ მათ მიერ სხვა მძიმე დანაშაულობათა ჩადენაში, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი ორგანოების მიერ განსაკუთრებით საშიში დამნაშავეების ი. გიორგაძის, ი. გულიევის და ე. ნასყიდაშვილის დაძებნა-დაპატიმრების და მათ გადმოცემის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის შუამდგომლობის შეუსრულებლობა წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მხრივ ნაკისრი ვალდებულებების, მართლწესრიგის მოთხოვნათა უგულებელყოფას და რუსეთის ფედერაციის შიდა კანონმდებლობის უხეშ დარღვევას.

№ 26 ედპ

(ეროვნულ-დემოკრატიული პარტია)

ედპ-ის დელეგაციის შეხვედრა ევროპარლამენტის თავმჯდომარესთან ეგონ კლეფშთან.

„მე მწამს, რომ ეს საპატიო ტვირთი საიმედო მხრებზე იქნება შემოდებული და აუცილებლად ასრულდება ის შეპირება, რაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ივერიონის მონასტრის ქართველ ბერებს მისცა—

საქართველო აყვავდება,
საქართველო დაწყნარდება,
საქართველო გაბრწყინდება.“

გიორგი ჭანტურია.

5 ნოემბერი არჩევნების დღეა!

ჟამი დიდი არჩევნისა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინსტრუქცია

საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობის შესახებ

1. ამომრჩეველთა სია და მისი შედგენის წესი

1.1. საარჩევნო უფლება

ა) საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, 18 წლიდან ან თუ არჩევნების დღისთვის უსრულდება 18 წელი.

ბ) საარჩევნო უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ ან სასამართლოს განაჩენით მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა.

1.2. ამომრჩეველთა სიაში მოქალაქეთა შეტანის წესი

ა) ამომრჩეველი შეიტანება ამომრჩეველთა მხოლოდ ერთ სიაში.

ბ) ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ საქართველოს მოქალაქე, რომელიც სიის შედგენის მომენტისთვის მუდმივად ცხოვრობს მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და აქვს საარჩევნო უფლება, ამომრჩეველთა სიაში უნდა გაკეთდეს აღნიშვნა და მიეთითოს მოქალაქის ჩაწერის ადგილი მისამართის ჩვენებით.

გ) სიის შედგენის მომენტისთვის თუ მოქალაქე ჩაწერილია საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მაგრამ ფაქტიურად მუდმივად ცხოვრობს საქართველოს სხვა ნებისმიერ დასახლებულ ადგილზე, არ შეიტანება ამომრჩეველთა სიაში.

დ) მოქალაქე მუდმივი ჩაწერის ადგილის მიხედვით შეიტანება სიაში თუ სიის შედგენის მომენტისთვის გასულია საქართველოს საზღვრებიდან.

ე) იძულებით გადაადგილებული მოქალაქეები ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შეაქვთ ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში.

2. ამომრჩეველთა დამატებითი სია

ა) კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა დამატებით სიაში შეაქვთ მოქალაქე ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე და მას მიეცემა მხოლოდ ორი ბიულეტენი (პრეზიდენტისა და პარლამენტის პროპორციული არჩევნების).

ბ) დამატებით სიაში შეაქვთ მოქალაქე, თუ ის გამორჩენილია ამომრჩეველთა ძირითად სიაში და წარადგენს მოცემული უბნის ტერიტორიაზე ცხოვრების დამადასტურებელ საბუთს და მას მიეცემა სამივე ბიულეტენი.

გ) ამომრჩეველთა დამატებითი სიები ზემოთ ჩამოთვლილი პირობების მიხედვით უნდა შედგეს ცალ-ცალკე.

3. ხმის მისაცემ შენობაში დასწრების უფლების მქონე პირები

3.1. ხმის მისაცემ შენობაში ყუთის დალუქვიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე დასწრების უფლება აქვს:

ა) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს, შესაბამისი საოლქო ან ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს;

ბ) არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიისა და საარჩევნო ბლოკის რწმუნებულს შესაბამის საარჩევნო ოლქში;

გ) პარლამენტის წევრობისა და პრეზიდენტობის კანდიდატების ნდობით აღჭურვილ პირებს შესაბამის ოლქში;

დ) იმ პარტიის წარმომადგენელს, რომელსაც შესაბამის კომისიაში არ დაუნიშნავს კომისიის წევრი;

ე) საზოგადოებრივი გაერთიანებების თითო წარმომადგენელს;

ვ) პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს;

ზ) მეთვალყურეებს სხვა სახელმწიფოებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან;

თ) პარლამენტის წევრობის კანდიდატების, პარტიებისა და ბლოკების თითო მეთვალყურესა და პრეზიდენტობის კანდიდატების თითო წარმომადგენელს.

4. ხმის მიცემის საიდუმლოების უზრუნველყოფა

4.1. საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი და ხმის მისაცემ შენობაში დასწრების უფლების მქონე პირები პასუხისმგებელნი არიან ხმის მიცემის საიდუმლოების უზრუნველყოფაზე დროის ნებისმიერ მონაკვეთში, დაუშვებელია კონტროლი ამომრჩეველთა ნების გამოვლენისადმი და ხმის ღიად მიცემა.

5. ხმის მისაცემი შენობის მოწყობა

5.1. ხმის მიცემა ეწყობა სპეციალურად გამოყოფილ შენობაში, რომელიც არაა მხოლოდ ერთი პარტიის (საარჩევნო ბლოკის) სარგებლობაში. შენობაში უნდა იყოს ფარული კენჭისყრისთვის მოწყობილი საკმაო რაოდენობით ოთახები ან კაბინები. კენჭისყრის შენობაში და ოთახებში (კაბინებში) გამოკრული უნდა იყოს პარტიული სიები და პრეზიდენტობის კანდიდატებისა და შესაბამის ოლქში პარლამენტის წევრობის კანდიდატთა სიები. აგრეთვე, ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა შეივსოს საარჩევნო ბიულეტენი. თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი პარტია (ბლოკი) პარლამენტის წევრობის ან პრეზიდენტობის კანდიდატი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, სათანადო განცხადება თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს გამოკრული როგორც შენობაში, ასევე ხმის მისაცემ ოთახში (კაბინაში).

5.2. კენჭისყრის ოთახებში (კაბინებში) უნდა იყოს კალმისტრები.

5.3. ხმის მისაცემ შენობაში მაგიდები ამომრჩეველთა სიებით და საარჩევნო ყუთები ისე უნდა დაიდგას, რომ ამომრჩეველი სიაში სათანადო აღნიშვნისა და ბიულეტენის მიღების შემდეგ შედიოდეს ხმის მიცემის ოთახში (კაბინაში), ხოლო ოთახიდან გამოსვლისას, მივიდეს ყუთთან და ყუთში ბიულეტენის ჩაშვების შემდეგ დატოვოს ხმის მიცემის შენობა.

5.4. ხმის მიცემის შენობაში იდგმება ცალკე მაგიდა, რომელთანაც უნდა მივიდეს ამომრჩეველი ბიულეტენის მიღების შემდეგ ხმის მიცემის ოთახში (კაბინაში) შესვლამდე. ამ მაგიდასთან კომისიის წევრი ბიულეტენების მეორე მხარეს უსვამს საუბნო კომისიის ბეჭედს (ბიულეტენი, რომელზეც არ აღმოჩნდება საუბნო კომისიის ბეჭედი, ჩაითვლება დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენად).

ისეთ უბანში, სადაც შეუძლებელია ცალკე მაგიდის გამოყოფა ბიულეტენებზე ბეჭდის დასასმელად, კომისიის გადაწყვეტილებით, კომისიის წევრებს კომისიის თავმჯდომარემ უნდა გადასცეს ბეჭედდასმული ბიულეტენები. კომისიის თავმჯდომარემ ბიულეტენებზე ბეჭედი უნდა დაუსვას კომისიის წევრთა და ხმის მიცემის შენობაში დასწრების უფლების მქონე პირთა თანდასწრებით.

6. წესრიგის დაცვა ხმის მიცემის შენობაში

6.1. ხმის მიცემის დღეს ხმის მიცემის შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. წესრიგის დაცვის მიზნით მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება ყველასათვის სავალდებულოა. არ შეიძლება ხმის მიცემის შენობაში იარაღით შესვლა. შენობაში იარაღით შეუძლია შესვლა მხოლოდ პოლიციის თანამშრომელს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თხოვნით წესრიგის დასამყარებლად.

7. ხმის მიცემის შენობის გაღება და ხმის მიცემის დაწყება

7.1. ხმის მიცემის შენობა უნდა გაიღოს და ხმის მიცემა დაიწყოს ზუსტად 7 საათზე და არაუადრეს ამ დროისა. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ხმის მიცემის დღეს ხმის მიცემის შენობაში უნდა გამოცხადდნენ 6.30 საათზე და მოამზადონ ხმის მიცემის შენობა.

7.2. ხმის მიცემის დღეს ხმის მიცემის შენობაში პირველი ამომრჩევლის გამოცხადებისას საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებისა და დასწრების უფლების მქონე პირთა თანდასწრებით აცხადებს მიღებული ბიულეტენების რაოდენობას, ამოწმებს და პლომბავს ან ლუქავს საარჩევნო ყუთებს. ხსნის საუბნო კომისიისთვის გადაცემულ დალუქულ კონვერტს, რომელშიც დევს საუბნო კომისიის ბეჭედი და აცხადებს ნომერს, რის შემდეგაც ყუთში უშვებენ საკონტროლო ფურცელს, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ კომისიის წევრები და ხმის მისაცემად მისული პირველი ამომრჩეველი. საკონტროლო ფურცელს უნდა დაესვას უბნის ბეჭედი და აღინიშნოს ყუთში მისი ჩაშვების დრო.

8. ხმის მიცემა

8.1. თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად. სხვა პირთა ნაცვლად ხმის მიცემა დაუშვებელია.

8.2. საარჩევნო ბიულეტენს საუბნო კომისიის წევრი გასცემს ამომრჩეველთა სიის ან ხმის მიცემის უფლების საფუძველზე პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენისას.

8.3. საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ამომრჩეველი ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით. ხმის მიცემის უფლების მოწმობები ერთვის ამომრჩეველთა სიებს. თუ ამომრჩეველი უარს აცხადებს რომელიმე ბიულეტენის მიღებაზე, ამის შესახებ აღნიშვნა უნდა გაკეთდეს ამომრჩეველთა სიაში.

8.4. ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში და დამატებით სიაში ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე შეყვანილ ამომრჩეველს მიეცემა მხოლოდ ორი ბიულეტენი.

8.5. ამომრჩეველი ბიულეტენების მიღების შემდეგ მიდის მაგიდასთან, სადაც სხედან კომისიის წევრები კომისიის ბეჭდით. კომისიის წევრმა ბიულეტენს მეორე მხარეს უნდა დაუსვას კომისიის ბეჭედი (ყუთში აღმოჩენილი ბეჭედდაუსმელი ბიულეტენი ჩაითვლება დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენად). ამის შემდეგ ამომრჩეველი შედის ხმის მიცემის ოთახში (კაბინაში) და ავსებს ბიულეტენს.

8.6. ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს, ოთახში (კაბინაში) მოიწვიოს სხვა ამომრჩეველი, გარდა იმ პირებისა, რომლებიც ჩამოთვლილია ამ ინსტრუქციის № 3.1 მუხლში.

8.7. ამომრჩეველმა ბიულეტენში უნდა შემოხაზოს პრეზიდენტობის კანდიდატის, პარლამენტის წევრობის კანდიდატის, პარტიის (ბლოკის) რიგითი ნომერი, რომელსაც აძლევს ხმას, დანარჩენი კი უნდა გადახაზოს.

8.8. თუ ამომრჩეველს უყურადღებობის გამო, გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, მას უფლება აქვს, მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ან მდივანს, ჩააბაროს გაფუჭებული ბიულეტენი და მიიღოს ახალი. გაფუჭებულ ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე და ცალკე შეინახება.

9. ხმის მიცემის შეწყვეტა

9.1. ხმის მიცემა მიმდინარეობს 20 საათამდე. ზუსტად 20 საათზე ხმის მისაცემი შენობა უნდა დაიკეტოს. ამ დროისათვის შენობაში მყოფ ამომრჩეველს უფლება აქვს მისცეს ხმა.

9.2. საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და ძნელად მისადგომ ადგილებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია ხმის მიცემა დამთავრებულად გამოაცხადოს ნებისმიერ დროს, თუ ხმა მისცა სიაში შეყვანილმა ყველა ამომრჩეველმა.

10. გადასატანი ყუთი

10.1. თუ ამომრჩეველს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზის გამო არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა, ამის შესახებ უნდა აცნობოს საუბნო საარჩევნო კომისიას არჩევნების დღეს 12 საათამდე. შეტყობინება უნდა გატარდეს განცხადებების ჟურნალში. საუბნო კომისიის თავმჯდომარე შესაბამის აღნიშვნას აკეთებს ამომრჩეველთა სიაში და კომისიის არანაკლებ ორ წევრს ავალებს კენჭისყრის მოწყობას ამომრჩეველთა ყოფნის ადგილას გადასატანი ყუთით. გადასატანი ყუთის თანხლების უფლება აქვთ აგრეთვე, საარჩევნო უბანში დასწრების უფლების მქონე პირებსაც. კომისიის წევრებმა თან უნდა წაიღონ საუბნო კომისიის ბეჭდით სათანადოდ დამოწმებული ბიულეტენები.

11. ხმების დათვლა საარჩევნო უბანში

11.1. ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ (შენობაში 20 საათისთვის მყოფი ამომრჩევლების ხმის მიცემის შემდეგ) იწყება ხმების დათვლა უბანში.

11.2. ხმების დათვლისას დაცული უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობა:

ა) კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისია ითვლის და პაკეტებად კრავს გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს. პაკეტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის სახელი და ნომერი, გამოუყენებელი ბიულეტენების სახეობა და რაოდენობა. მას ხელს უნდა აწერდეს კომისიის თავმჯდომარე (ან მოადგილე) და მდივანი და უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი. დაითვლება და პაკეტად შეიკვრება გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები და გაფორმდება ზემოთაღნიშნული წესით.

ბ) კონვერტში შეინახება და დაილუქება საარჩევნო უბნის ბეჭედი.

გ) ამომრჩეველთა ძირითადი, სპეციალური და დამატებითი სიების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას და არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას სამივე არჩევნების მიხედვით და შედეგები შეაქვთ ოქმებში ყუთის გახსნამდე.

დ) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთებზე ლუქის მთლიანობას, ხსნის მათ და ამოწმებს ყუთებში საკონტროლო ფურცლის არსებობას. თუ ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა, ამის შესახებ ოქმს უნდა დაერთოს კომისიის ახსნა-განმარტება.

ე) კომისია ცალ-ცალკე ითვლის ყუთებში არსებული სხვადასხვა ფერის დადგენილი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობას. ცალკე ითვლება დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები. დაუდგენელი ნიმუშის და ბათილად ცნობილი ბიულეტენები ფერების მიხედვით იდება ცალ-ცალკე კონვერტებში და იბეჭდება იმგვარად, რომ ბეჭდის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს კონვერტიდან ბიულეტენის ამოღება ან მასში ჩადება. კონვერტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, მასში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა და სახეობა.

11.3. ბიულეტენი ნამდვილად უნდა იქნეს ცნობილი:

ა) თუ შემოხაზულია ერთი კანდიდატის, პარტიის ან ბლოკის რიგითი ნომერი და გადახაზულია სხვა კანდიდატები, პარტიები და ბლოკები;

ბ) თუ შემოხაზულია ერთი კანდიდატის, პარტიის ან ბლოკის რიგითი ნომერი და არაა გადახაზული სხვები;

გ) თუ შემოხაზულია ერთი კანდიდატის გვარი, პარტიის ან ბლოკის დასახელება და სხვა კანდიდატები, პარტიები და ბლოკები გადახაზულია.

დ) თუ შემოხაზულია ერთი კანდიდატის გვარი, პარტიის ან ბლოკის დასახელება და სხვები გადახაზული არ არის;

ე) თუ რაიმე აღნიშვნაა გაკეთებული ერთი კანდიდატის გვარის, პარტიის ან ბლოკის გასწვრივ და გადახაზულია სხვები;

ვ) თუ რაიმე აღნიშვნაა გაკეთებული ერთი კანდიდატის, პარტიის ან ბლოკის გასწვრივ და დანარჩენები არაა გადახაზული.

ზემოთაღნიშნულისაგან განსხვავებით, შევსებული და სუფთა (შეუვსებელი) ბიულეტენები ჩაითვლება ბათილად.

12. არჩევნების შედეგების შეჯამება

12.1. საუბნო საარჩევნო კომისია აჯამებს არჩევნების შედეგებს სამივე არჩევნების მიხედვით და ავსებს ოქმებს.

12.2. ოქმებში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) მიღებული ბიულეტენების რაოდენობა;

ბ) გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა; (ა და ბ პუნქტები ივსება ყუთის გახსნამდე);

გ) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა (პრეზიდენტისა და პარლამენტის პროპორციული არჩევნებისათვის ტოლია ამომრჩეველთა ძირითადი, სპეციალური და დამატებითი სიების ჯამისა; მაჟორიტარული არჩევნებისათვის კი ძირითადი სიისა და იმ დამატებითი სიის ჯამისა, რომელშიც შეტანილია საარჩევნო უბანში მცხოვრები ამომრჩეველი დამადასტურებელი საბუთის წარდგენის საფუძველზე);

დ) არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა (ტოლია გაცემული ბიულეტენების რაოდენობისა სამივე ფერის მიხედვით — იგივეა, რაც ამომრჩეველთა მიერ სიებში ხელმოწერათა რაოდენობა);

ე) ხმის მიცემის მონაწილეთა რაოდენობა (ტოლია ყუთში აღმოჩენილი დადგენილი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობისა სამივე ფერის მიხედვით);

ვ) პრეზიდენტობის კანდიდატების მიღებული ხმები;

ზ) პარლამენტის წევრობის კანდიდატების მიღებული ხმები;

თ) პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ მიღებული ხმები;

12.3. ბიულეტენი, სადაც ხმა მიღებული აქვს პრეზიდენტობის კანდიდატს, პარლამენტის წევრობის კანდიდატს, პარტიას ან ბლოკს, რომელიც აღარ მონაწილეობდა არჩევნებში, ითვლება ბათილად.

12.4. საუბნო საარჩევნო კომისიამ არჩევნების სამივე შედეგების ოქმი უნდა შეავსოს თითო ეგზემპლარად. ოქმებს ხელი უნდა მოაწერონ კომისიის თავმჯდომარემ, თავმჯდომარის მოადგილემ, მდივანმა, წევრებმა და დაესვას კომისიის ბეჭედი.

12.5. ოქმების თითო ეგზემპლარის შევსებისთანავე კომისიის თავმჯდომარემ

ოქმების მონაცემების მიხედვით უნდა შეავსოს წინასწარი შედეგების ოქმი სამ ცალად, მოაწეროს ხელი და დაუსვას უბნის ბეჭედი.

ოქმის ორი ცალი სასწრაფოდ უნდა გადაეგზავნოს საოლქო საარჩევნო კომისიას. საუბნო კომისიას წინასწარი შედეგების ოქმების საოლქო კომისიისთვის გადაცემაში უნდა დაეხმაროს საარჩევნო უბანზე მიმაგრებული პოლიციის თანამშრომელი.

12.6. საუბნო საარჩევნო კომისიამ არჩევნების შედეგების ოქმები უნდა შეავსოს იმდენ ცალად, რომ ოქმების ცალთა რაოდენობა სამით აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილ სუბიექტთა რაოდენობას. ოქმების ორ-ორ ცალს და ყველა საარჩევნო ბიულეტენს დაუყოვნებლივ უგზავნიან საოლქო საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, თითო ცალი ინახება თვით საუბნო კომისიაში, თითო ცალი კი უნდა გადაეცეს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილ პირებს, პარტიებსა და ბლოკებს, პრეზიდენტობის კანდიდატების წარმომადგენლებს.

13. არჩევნების შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში

13.1. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების წინასწარი შედეგების ოქმების მიღებისთანავე ადგენს წინასწარი შედეგების ოქმს და შედეგებს დაუყონებლივ (ტელეფონით) ატყობინებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ხოლო ხმის მიცემის მეორე დღეს საოლქო კომისიის წინასწარი შედეგების ოქმსა და საუბნოების წინასწარი შედეგების ოქმების თითო ცალს უგზავნის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

13.2. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ადგენს არჩევნების შედეგების საოლქო საარჩევნო ოქმებს.

ოქმის ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს ბიულეტენებში შეტანილ სუბიექტთა რაოდენობას. ოქმის ყველა ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი, წევრები და უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

13.3 საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმების და საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების თითო ცალი არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა ეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

საოლქო კომისიის ოქმების თითო ცალი უნდა გადაეცეს არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს.

13.4. საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ კენჭისყრის მონაწილეთა ერთი მესამედისა.

14. საარჩევნო უბნებში კანონის დარღვევის შესახებ განცხადებათა განხილვა

14.1. საჩივარი საარჩევნო კანონის დარღვევის შესახებ კომისიას შეიძლება წარედგინოს არა უგვიანეს არჩევნების მომდევნო დღისა.

14.2. საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივრები უნდა განიხილოს მეორე დღესვე და თავისი მოსაზრება არჩევნების უბანში ბათილად ცნობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება

პარლამენტის წევრობის კანდიდატების რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

„საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" კანონის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე რეგისტრაციიდან მოიხსნან პარლამენტის წევრობის შემდეგი კანდიდატები:

1. **მაისაია ზაურ** — წარდგენილია საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორუფლებიანობის პარტიისა და საქართველოს ინტელექტუალთა ლიგის მიერ № 64-ე საარჩევნო ოლქში;
2. **ხიზილიშვილი ზორენა** — № 56-ე საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფისაგან და საქართველოს პროგრესისტული პარტიისაგან;
3. **პაატაშვილი თედო** — № 25-ე ოლქში გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიისაგან და № 1 ოლქში საინიციატივო ჯგუფისაგან;
4. **ელოშვილი რამაზ** — № 9-ე ოლქში საინიციატივო ჯგუფისაგან და სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების (ავლაბნელთა) პარტიისაგან;
5. **ტატიშვილი გელა** — № 9-ე ოლქში საინიციატივო ჯგუფისაგან და ბლოკი — „ეკონომიკური აღორძინება — ყვითლები"-საგან;
6. **ძებისაშვილი გიორგი** — № 6-ე საარჩევნო ოლქში საზოგადოება „არჩევნები"-საგან და დემოკრატიული საქართველოსაგან;
7. **გელიაშვილი ზურაბი** — წარდგენილია № 10-ე ოლქში ბლოკი „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიისა და სოციალ-დემოკრატები"-საგან და საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან;
8. **კობაიძე ალექსანდრე** — წარდგენილია № 28-ე საარჩევნო ოლქში ბლოკი „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია და სოციალ-დემოკრატები"-საგან და დემოკრატიული პარტიისაგან;
9. **კობიაშვილი ზურაბ** — წარდგენილია № 15-ე საარჩევნო ოლქში აგრარული პარტიისა და ბლოკი „პროგრესი"-საგან № 20 საარჩევნო ოლქში;
10. **ტოტოჩია გულივერ** — წარდგენილია № 63-ე საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფისაგან და პარტია „სამშობლო"-საგან;
11. **ხარატიშვილი იოსებ** — წარდგენილია № 16-ე საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფისაგან და საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მიერ;
12. **გელაძე კობა** — წარდგენილია № 16-ე საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფისაგან და სტალინური კომუნისტური პარტიისაგან;
13. **გოგიტაშვილი რამაზ** — წარდგენილია № 16-ე საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფისაგან და ბლოკი „რეფორმატორთა კავშირი — ეროვნული თანხმობა"-ს მიერ;
14. **წერეთელი მარინე** — წარდგენილია № 1 საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფისაგან და საქართველოს აგრარული პარტიისაგან;
15. **გვინიანი გიორგი** — წარდგენილია № 8-ე საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფისაგან და საქართველოს ლიბერალურ-კონსერვატიული პარტიისაგან;
16. **აბალაკი გია** — წარდგენილია № 32-ე საარჩევნო ოლქში საინიციატივო ჯგუფისაგან პოლიტიკურ კავშირ „თანადგომა"-საგან.

კომისიის თავმჯდომარე
ივანე კილურაძე.

1995 წლის 24 ოქტომბერი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება

პარლამენტის წევრობის კანდიდატების რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მოიხსნას რეგისტრაციიდან პარლამენტის წევრობის შემდეგი კანდიდატები:

პოლიტიკური ორგანიზაცია „მამული":

1. **ჯაბრიშვილი ელგუჯა** („საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" კანონის მე-2 მუხლი);
2. **ცოფურაშვილი თეიმურაზ** (ცენტრალური საარჩევნო კომისიის № 61-ე დადგენილების 1.4 პუნქტი).

კომისიის თავმჯდომარე
ივანე კილურაძე.

1995 წლის 24 ოქტომბერი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება

პარლამენტის წევრობის კანდიდატების რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის № 26-ე დადგენილების საფუძველზე რეგისტრაციიდან მოიხსნან შემდეგი კანდიდატები:

საქართველოს პოლიტიკური მოძრაობა „მამული, ენა, სარწმუნოება" (მესა)

1. **ჯაყელი ვასილ** — № 4-ე საარჩევნო ოლქი;
2. **გოგალაძე ბეგლარ** — № 4-ე საარჩევნო ოლქი;

საქართველოს აგრარული პარტია

1. **არჩემაშვილი ხვთისავარ** — № 19-ე საარჩევნო ოლქი;
2. **სიმონიშვილი ფირუზ** — № 19-ე საარჩევნო ოლქი;
3. **ბერუაშვილი გელა** — № 9-ე საარჩევნო ოლქი;
4. **ჩივაძე ზურაბ** — № 9-ე საარჩევნო ოლქი;

საქართველოს კომუნისტური პარტია:

1. **ბურჯანაძე ილია** — № 32-ე საარჩევნო ოლქი;
2. **ბერიანიძე შალვა** — № 32-ე საარჩევნო ოლქი;
1. **გლუნჩაძე ჯემალ** — № 27-ე საარჩევნო ოლქი;
2. **ბედოშვილი გიორგი** — № 27-ე საარჩევნო ოლქი;

ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორუფლებიანობის პარტია:

1. **ტურაშვილი ივანე (ლერი)** — № 16-ე საარჩევნო ოლქი;
2. **ხეფაშვილი ინდიკო** — № 16-ე საარჩევნო ოლქი.

კომისიის თავმჯდომარე
ივანე კილურაძე.

1995 წლის 24 ოქტომბერი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება

პარლამენტის წევრობის კანდიდატების რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ

ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

რეგისტრაციიდან მოიხსნას პარლამენტის წევრობის შემდეგი კანდიდატები:

1. **ფუტკარაძე ჯუმბერ** — წარდგენილია № 82-ე საარჩევნო ოლქში საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან (მოიხსნა „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" კანონის 36-ე მუხლის თანახმად).
2. **ჯაფარიძე იოსებ** — ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (მოიხსნა „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" კანონის 36-ე მუხლის თანახმად).
3. **ჯანგულაშვილი გია** — სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების (ავლაბნელთა) პარტია (მოიხსნა „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" კანონის 36-ე მუხლის თანახმად).
4. **ჯანჭღავა რევაზ** — წარდგენილია № 64-ე საარჩევნო ოლქში პოლიტიკურ კავშირ „თანადგომა"-საგან (მოიხსნა „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" კანონის 36-ე მუხლის თანახმად).
5. **ფაცაცია ოთარ** — წარდგენილია № 67-ე საარჩევნო ოლქში პოლიტიკურ კავშირ „თანადგომა"-საგან (მოიხსნა „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" კანონის 36-ე მუხლის და „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის თანახმად).
6. **ნადარეიშვილი თამაზ** — წარდგენილია პოლიტიკური გაერთიანება „აფხაზეთი — ჩემი სახლია"-ს მიერ (მოიხსნა „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" კანონის 36-ე მუხლის და „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის თანახმად).
7. **მარგიანი ავთანდილ** — წარდგენილია ბლოკი „პროგრესი"-საგან (მოიხსნა „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" კანონის 36-ე მუხლის და „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის თანახმად).
8. **ზანგალიანი მურთაზ** — წარდგენილია ბლოკი „რეფორმატორთა კავშირი — ეროვნული თანხმობისაგან" (მოიხსნა „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" კანონის 36-ე მუხლის და „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის თანახმად).
9. **ეცადაშვილი შოთა** — წარდგენილია № 27-ე საარჩევნო ოლქში საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მიერ (მოიხსნა „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" კანონის 36-ე მუხლის და სახელმწიფოს მეთაურის № 70-ე ბრძანებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო).

კომისიის თავმჯდომარე
ივანე კილურაძე.

1995 წლის 24 ოქტომბერი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

1995 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებით, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" კანონის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, პარლამენტის წევრობის კანდიდატობა გაუუქმა № 32 ბორჯომის საარჩევნო ოლქში წარდგენილ კანდიდატს — **ზაურ გიორგის ძე გოგოლაძეს** გაერთიანება „ბორჯომკურორტის" თავმჯდომარის მოადგილეს.

1995 წლის 26 ოქტომბერი.

კანონი მოქმედებს

აღადგინეს დეპუტატობის კანდიდატის უფლებებში

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 24 ოქტომბრის დადგენილებით, პარლამენტის წევრობის კანდიდატის რეგისტრაციიდან მოხსნა. ოთარ ფაცაცია „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" კანონის 36-ე მუხლისა და „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის თანახმად, პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსის შეუთავსებლობის გამო თანამდებობრივ მდგომარეობასთან.

გუშინ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ლამარა ისაკაძის თავმჯდომარეობით, განიხილა ოთარ ფაცაციას განცხადება, რომლითაც მან მიმართა უზენაეს სასამართლო ინსტანციას ზემოთ აღნიშნული დადგენილების გაუქმების შესახებ.

სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა, რომ ოთარ ფაცაციის განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან მას 1995 წლის 5 ოქტომბრიდან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 399-ე ბრძანებულებით პრემიერ-მინისტრობიდან მისი გათავისუფლების შესახებ, ამ თანამდებობაზე არ უმუშავია, ხელფასი არ მიუღია. ამიტომ, ის გარემოება, რომელიც საფუძვლად დაედო ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1995 წლის 24 ოქტომბრის დადგენილებას, არ შეიძლება ბრალად დაედოს განმცხადებელს.

სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებით, გაუქმდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება ოთარ ფაცაციას პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ; ოთარ ფაცაცია დატოვებულ იქნა პოლიტიკური კავშირის „თანადგომის" პარტიულ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად ზუგდიდის № 67 საარჩევნო ოლქში.

გადაწყვეტილება საბოლოოა.

გაუქმდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება

1995 წლის 26 ოქტომბერს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ გააუქმა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1995 წლის 24 ოქტომბრის № 78 დადგენილება, ავთანდილ მარგიანის პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ.

საარჩევნო ბლოკ „პროგრესის" საინფორმაციო ცენტრი.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრის ცნობა

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თხოვნით მიმართა რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, დანაშაულის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით განეხილათ წინასწარ პატიმრობაში მყოფი დეპუტატობის კანდიდატების ირაკლი სურგულაძის, თენგიზ კიტოვანის, თემურ ქორქოლიანის, ლოდო გუგეშაშვილის, ლონგინოზ ჭელიძისა და კობა ჯიბლაშვილისათვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხი.

რესპუბლიკის პროკურატურამ განიხილა აღნიშნული საკითხი და, გამომდინარე, მათ მიერ ჩადენილი ქმედებების საზოგადოებრივად საშიში ხასიათისა და ხარისხისა, გამოძიების ამ ეტაპზე აღკვეთის ღონისძიების შეცვლა მიზანშეწონილად არ მიიჩნია, რაც შეეხება კობა ჯიბლაშვილს, იგი პატიმრობაში არ იმყოფება.

ჟამი დიდი არჩევნისა

ოსიე

ჯუმბერ პატიაშვილი. დაიბადა 1940 წელს ლაგოდეხში.

ამთავრა თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, საქართველოს ოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ასპირანტურა. არის სო ის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

უშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ კომკავშირულ და პა ულ თანამდებობაზე. 1985-1989 წლებში იყო საქართვე ს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდი . დღეს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტი ტის დირექტორია. არის საქართველოს პარლამენტის წე .

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი, შვილიშვილი.



რეზიდენტობის კანდიდატი

რასოდეს გავქცევივარ პასუხისმგებლობას

დიალოგი

— ბატონო ჯუმბერ, თქვენს წინასაარჩევნო პროგრამაში ნა ქვამია, რომ პირველი რიგის ეკონომიკურ ამოცანათა გა წყვეტად დაუყოვნებლივ უნდა შემუშავდეს და მიზან მართულად განხორციელდეს ეკონომიკური აღდგენის სა გებო პროგრამა. უკვე გაქვთ ამ პროგრამის გარკვეული ნახაზი?

— დიახ, გარკვეული მონახაზი მაქვს. იგი სასოფლო-სამე ნეო წარმოების პრიორიტეტულ დარგად წარმოჩენას ით ლისწინებს. სახელმწიფომ ყველა საშუალებას სწორედ ამ რგში უნდა მოუყაროს თავი, ყველა საფინანსო-საკრედი ო საქმიანობა ამ დარგის ასაღორძინებლად უნდა წარმარ ის. უნდა აღდგეს მრეწველობის ის დარგები, რომელთა ედრითი წილი საკმაოდ დიდი იყო ჩვენს ეროვნულ შემო ალში: მსუბუქი მრეწველობა, მანქანათმშენებლობა... პრი ტიზების პროცესი კვლავაც გაგრძელდება, მაგრამ მოხ ება კანონიერად, ობიექტურად, უპირატესობა ყოველთვის ენიჭება შრომით კოლექტივებს.

— ამომრჩეველს ჰპირდებით, რომ დაუყოვნებლივ შექმნით ელმწიფო მმართველობის ეფექტიან სისტემას, რომელიც იენტირებული იქნება ეროვნული ინტერესების დაცვაზე, ლხის უდიდესი უმრავლესობის ნებაზე. როგორ გაქვთ წა მოდგენილი ეს სისტემა?

— სოფელმა ისე უნდა წარმართოს თავისი საქმიანობა, ოგორც მას სურს — კოლექტიური მეურნეობის სახით თუ ერმერულად... განვითარდება საკუთრების ყველა ფორმა. ელა რგოლში: სოფელში, დაბაში, ქალაქში დამკვიდრდება ვითმმართველობა — ხალხმა თვითონ აირჩიოს ნებისმიერი ონის ხელმძღვანელობა.

— პრეზიდენტი რომ გახდეთ, როგორ საგარეო-პოლიტი ურ კურსს აირჩევთ?

— ორიენტაცია ცალმხრივი არ უნდა იყოს. ჩვენი ქვე ანა ისეთ გეოპოლიტიკურ სივრცეშია, რომ ორიენტაცია თხივე მიმართულებით უნდა ჰქონდეს და არა მიკერძოე ლად — დასავლური ან ჩრდილოური, რაც შეეხება რუ თს — მასთან მხოლოდ კეთილმეზობლური და თანასწორ ფლებიანი.

— როგორ ესახებათ აფხაზეთისა და შიდა ქართლის პრო ლემის მოგვარება?

— დღეს ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ პოლიტიკური ზით უნდა წარიმართოს და მოლაპარაკების მაგიდას უნდა უსხდნენ მხოლოდ ის ძალები, რომლებსაც არ ეკისრებათ რადი პასუხისმგებლობა ომის დაწყების, სისხლისღვრისთ ს. ეს ეხება როგორც ქართულ, ისე აფხაზურ მხარეს. სა როა კონტაქტების აღდგენა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხე თან. არ შეიძლება იმის უგულებელყოფა, რომ რუსეთი ინტერესებულია ეს საკითხი გადაწყდეს მისი ინტერესე ს გათვალისწინებით. უნდა განიარაღდეს ყველა აფხაზური იარაღებული ფორმირება და აფხაზეთი გამოცხადდეს იარაღო ზონად, სამშვიდობო ძალების აქტიური მონაწილე ბით. ასევე უნდა წარიმართოს პროცესები შიდა ქართლში. ერთი სიტყვით, პრობლემა უნდა გადაწყდეს მხოლოდ პო ტიკური და არა ძალისმიერი გზით!

— წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისში თქვენ ტელევიზიით ბრძანეთ, პრეზიდენტად კენჭს რომ არ ვიყრიდე, ხმას ედუარდ შევარდნაძეს მივცემდიო. დღესაც ამ აზრისა ბრძანდებით?

— არა, დღეს აღარ! ჩემი შეხედულების შეცვლა განაპირობა იმ დაწოლამ, რასაც ხელისუფლებისა და მისი მომხრე პოლიტიკური პარტიების მხრიდან განვიცდი. ზოგიერთები ცდილობენ ტერორისტული აქტების ორგანიზაციაში მონაწილეობაც კი მომაწერონ.

საქმე იქამდეც მივიდა, რომ მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „დაშლასაც" მაბრალებენ. ამ ინსტიტუტს თითქმის 6 წელიწადია ვხელმძღვანელობ. შარშან თვით ბატონი ედუარდი ბრძანდებოდა ჩვენთან და ერთობ კმაყოფილი დარჩა. ახლა რაღაც შემოწმებები დაიწყო...

ბრალად მდებენ ერთიან კომუნისტურ პარტიასთან კავშირს. 30 წელიწადი ვიყავი კომუნისტური პარტიის წევრი, მხოლოდ 1991 წელს, მოსკოვის პუტჩის შემდეგ, გავედი იქიდან და დღემდე არც ერთ პარტიაში არ ვარ. მხოლოდ არაპოლიტიკური ორგანიზაციის, მოძრაობა „სიცოცხლისათვის" მთავარი მრჩეველი გახლავართ. მაგრამ კომუნისტებთან პირადი კონტაქტები მაქვს. ზოგიერთ საკითხში ჩვენი მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა — სამხარეო მოწყობის, მიწის, სოციალურ საკითხებში. რაც შეეხება პანტელეიმონ გიორგაძეს, იგი ჩემი კარის მეზობელია და როგორც მეზობელთან, უბრალოდ, კარგი ურთიერთობა მაქვს. ამ ამბებისთვის რა კუდის გამობმა შეიძლება?

— გაზეთებში ბოლო ხანს იბეჭდება პუბლიკაციები, რომლებშიც დოკუმენტების (კრემლში გაგზავნილი დეპეშების) მოხმობით დასაბუთებულია თქვენი უშუალო და უპირველესი ბრალი 9 აპრილის ტრაგედიაში. რა კომენტარს გაუკეთებდით ამ პუბლიკაციებს?

— 9 აპრილის ტრაგედიის დეპეშებით ახსნა და ვერსიათა დეპეშებზე აგება, ყოვლად დაუშვებელია. ეს რთული პროცესი იყო, რომელსაც ჰქონდა თავისი წანამძღვრები და გაგრძელებები. პასუხისმგებლობას არასოდეს გავქცევივარ, მაგრამ ჭეშმარიტებისთვის უნდა ითქვას, რომ დეპეშების გაგზავნა და სიტუაციის აღწერა მაშინ სუკ-ის პრეროგატივა იყო. საზოგადოებამ დღემდე არ იცის, რომ მიტინგის დაშლის სქემა შეიმუშავეს და დაამტკიცეს როდიონოვმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა შ. გორგოძემ. რა იდო მასში — ხალხის დარბევა თუ სასახლის წინა მოედნის უბრალოდ ხალხისგან გათავისუფლება? უნდა გამოქვეყნდეს ის სქემა და გაირკვეს ყველაფერი. ჩვენ მხოლოდ ერთზე ვიყავით შეთანხმებული: მოედანს გაათავისუფლებდა მილიცია და შემდეგ მას დაიკავებდა ჯარი. არც ჯარს და არც მილიციას იარაღი არ უნდა ჰქონოდა (სხვათაშორის, იარაღი მართლაც არ ჰქონიათ), ჯარი და მილიცია ერთმანეთს არ უნდა დაპირისპირებოდა.

9 აპრილის ტრაგედია ასე იოლი მსჯელობის საგანი არ არის. ეს იყო ქართველი ხალხის წინააღმდეგ შეთქმულების შედეგი. მას მოჰყვა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ხალხის ერთიანობის რღვევის გამომწვევი ზუსტად გაანგარიშებული და მართვადი დარტყმები — სამხედრო გადატრიალება და კანონიერი ხელისუფლების დამხობა, სამოქალაქო ომი, ქვეყნის დაშლა...

პროგრამა

ამჟამინდელმა ხელისუფლებამ მოკლე დროის მანძილზე 45-50 წლით უკან მოისროლა ქვეყნის საწარმოო პოტენციალი და ყოველივე ეს რადიკალურ რეფორმებად, საქართველო კი ექსპერიმენტების პოლიგონად მონათლა.

დაუყოვნებლივ უნდა შემუშავდეს და მიზანმიმართულად განხორციელდეს ეკონომიკის აღდგენის საგანგებო პროგრამა. ამ პროგრამის რეალიზაციამ სამი წლის განმავლობაში ძირითადად უნდა უზრუნველყოს წარმოების იმ მიჯნებზე გასვლა, რომელიც მას ეკონომიკური კატასტროფის დაწყებამდე ეკავა.

პრიორიტეტული უნდა გახდეს აგროსამრეწველო სფერო და მისი მომსახურე დარგები. მიწა უნდა იყოს სახელმწიფო საკუთრება და იგი ფერმერს გადაეცეს მუდმივ სარგებლობაში, მემკვიდრეობით, გაყიდვის უფლების გარეშე. რეფორმირებას საჭიროებს საგადასახადო პოლიტიკა. საჭიროა შემუშავდეს მეწარმეთა სახელმწიფო მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამები ეკონომიკის კონკრეტული დარგების, უწინარესად, მეცნიერებატევადი, მაღალტექნოლოგიური წარმოებების მიხედვით.

ეროვნულ პრიორიტეტებს შორის უმთავრესი ადგილი უნდა დაიკავოს სახელმწიფო ზრუნვამ ერის ჯანმრთელობაზე, მთელი მისი გარემომცველი გარემოს გაჯანსაღებაზე, ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრში უნდა იყოს სოციალური სფერო.

დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანი სისტემა. მმართველობის ორგანოების რეორგანიზაციასთან ერთად, მკვეთრად უნდა შემცირდეს და გაიაფდეს მმართველობითი აპარატი.

საგარეო ურთიერთობათა სფეროში მკაფიოდ უნდა გაცნობიერდეს თანამედროვე გეოპოლიტიკის რეალიები, რომლებსაც ძალა და ინტერესები ქმნის.

— უზენაესი სასამართლოს მიერ სოლიკო ხაბეიშვილის რეაბილიტაციის შემდეგ იქმნება საზოგადოებრივი აზრი, რომ მისი დაპატიმრება თქვენს მიერ სპეციალურად იყო ინსპირირებული პირადი ანგარიშსწორების ნიადაგზე...

— გაუგებარია, რატომ ცდილობენ ჩემთან დააკავშირონ ხაბეიშვილის დაპატიმრება?! 1983 წელს დაიწყო სიღნაღის რაიკომის ყოფილი პირველი მდივნის ნ. ბუჩუკურის საქმის გამოძიება, რომელსაც მექრთამეობა და მიწერები ედებოდა ბრალად. 1984 წელს უკვე გამოიკვეთა მასში ს. ხაბეიშვილის მონაწილეობა. ამის თაობაზე ცკ-ში იყო ოფიციალური შეტყობინება. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შ. გორგოძე შეხვდა ს. ხაბეიშვილს, მაშინ კომპარტიის ცკ-ს მდივანს და ინფორმაცია გაუკეთა, თქვენს მიმართ ასეთი და ასეთი ბრალდება არსებობსო. იმავე წლის ზაფხულში სუკ-ის თავმჯდომარემ ა. ინაურმა შესთავაზა ს. ხაბეიშვილს თავისი ნებით წასულიყო პოლიტიკური ასპარეზიდან, რადგან იყო ცნობები, რომ იგი მონაწილეობდა ბუჩუკურის საქმეში. არსებობს ბუჩუკურის ციხიდან გამოგზავნილი წერილი ცენტრალური კომიტეტისადმი, დახვრეტით მემუქრებიან, თუ ჩვენებებს არ შევცვლიო. თუმცა ეს წერილი სუკ-ისათვისაც ცნობილი იყო, მას მსვლელობა არ მისცემია. ანალოგიური წერილი გამოგზავნა ბუჩუკურმა ცკ-ში 1985 წლის ივლისში. უკვე მე გამომიგზავნა. იგი სუკ-მაც შეიტყო და მსვლელობა მიეცა. ს. ხაბეიშვილის დაპატიმრებისა და დანაშაულის აღიარების შემდეგ, მას შეხვდა მოსკოვიდან სპეციალურად მოვლინებული სსრკ გენერალური პროკურორი რეკუნკოვი, რომელმაც დაადასტურა მისი ბრალეულობა, რაზეც ხელი მოაწერა თვით ს. ხაბეიშვილმა. ხომ არსებობს პროკურატურის მასალები! სხვათა შორის, 1989 წლის შემდეგ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობიდან ჩემი წასვლის შემდეგ, ს. ხაბეიშვილის საქმე ორჯერ განიხილა სსრკ უმაღლესმა სასამართლომ და ორივეჯერ უარი თქვა გამართლებაზე, მხოლოდ სასჯელის ვადა შეუმცირა. არ ვიცი (და არც მაინტერესებს), რითი იხელმძღვანელა ამჟამად ჩვენმა უზენაესმა სასამართლომ. ისე რომ, ხაბეიშვილის საქმეს ტყუილად ნურავინ მაწერს.

— ეს-ესაა დაბრუნდით წინასაარჩევნო ტურნირიდან. მოიარეთ ქართლი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, აჭარა. კმაყოფილი ხართ შეხვედრებით?

— ძალზე კმაყოფილი ვარ. მაგრამ შემაშფოთა იმ დამოკიდებულებამ, რომელსაც ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლები იჩენენ პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის ელემენტარული პირობების შესაქმნელად. ამიტომ ზოგი შეხვედრა ღია ცის ქვეშ შედგა, ზოგი — სასტუმროს ფოიეში. მაინც ძალზე ბევრ ხალხს გავესაუბრე.

— დარწმუნებული ხართ გამარჯვებაში?

— დამარცხებისთვის არ იბრძვიან. გამარჯვების იმედს მაძლევს ხალხის მხარდაჭერა.

— ბოლოს ერთი კითხვა, ბატონო ჯუმბერ. თითქოს საკმაოდ მშვიდი ცხოვრება გქონდათ მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რამ გადაგაწყვეტინათ კვლავ დიდ პოლიტიკაში დაბრუნება?

— დღეს, ამ საყოველთაო ძნელბედობის ჟამს, მშვიდი ცხოვრება, მე მგონი, არავის აქვს. სიდუხჭირემ და პროცესებმა, რომლებიც ქვეყანაში ხდება, მიბიძგა კვლავ დავბრუნებულიყავი, როგორც თქვენ თქვით, „დიდ პოლიტიკაში". მინდა თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს მშენებლობას მოვახმარო ჩემი გარკვეული გამოცდილება, იმ გაკვეთილების გათვალისწინებით, რომლებიც წარსულში მქონდა.

ალეკო ასლანიშვილი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მიიღეს დეკლარაცია

სამშაბათს, გვიან ღამით, დეკლარაციის მიღებით დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 50-ე წლისთავთან დაკავშირებული გენერალური ასამბლეის სპეციალური სამდღიანი საზეიმო სხდომა. ისტორიაში უპრეცედენტო ამ ისტორიული სადღესასწაულო ფორუმის 170-ზე მეტმა მონაწილემ საზეიმოდ დაადასტურა გაეროს მიზნები და პრინციპები, ივალდებულა ამაღლონ გაეროს ქმედუნარიანობა კონფლიქტების თავიდან აცილების, პრევენტული დიპლომატიის, მშვიდობისა და მშვიდობიანი მშენებლობის სფეროში. საჯაროდ განაცხადეს, რომ 21-ე საუკუნეს „გადასცემენ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, უზრუნველყოფილს ფინანსებით და ყველა საშუალებით, რათა ეფექტიანად ემსახუროს ხალხებს, რომელთანაც ეს ორგანიზაცია შეიქმნა.

რუსეთის თავდაცვის მინისტრი შტატებში გაემგზავრა

რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტების მოლაპარაკების თანახმად, ბორის ელცინის განკარგულებით რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი თავის ამერიკელ კოლეგასთან უილიამ პერისთან შესახვედრად ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა შეერთებულ შტატებში. განიხილავენ ბოსნიის ახალ სამშვიდობო ოპერაციაში რუსეთის მონაწილეობის სამხედრო ასპექტებს. გრაჩოვი პერისთან ერთად დაესწრება რუსეთ-ამერიკის ერთობლივ სამხედრო წვრთნას, რომელიც შეერთებულ შტატებში ტარდება.

ბორის ელცინი საავადმყოფოში მოათავსეს

როგორც წუხელ რუსეთის საზოგადოებრივი სატელევიზიო პროგრამა „ვრემიამ" გადმოსცა, გულის იშემიური დაავადების გამწვავების გამო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი ჰოსპიტალიზებულია ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში.

შეხვედრა ნიუ-იორკში

გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბილ კლინტონის მოლაპარაკება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ძიან ძემინთან, რომელიც მონაწილეობდა გაეროს გენერალური ასამბლეის 50-ე სესიის საიუბილეო სხდომაში.

ჩეჩნეთში მოელიან მოლაპარაკების განახლებას

ჩეჩნეთში გაერთიანებული ფედერალური ძალების დაჯგუფების სარდლობის პრესცენტრმა უსაფუძვლო უწოდა აქ გავრცელებულ ხმებს, თითქოს ოთხშაბათს რუსეთის ფედერალური ძალები დაიწყებენ საომარ მოქმედებას. სარდლობა რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებას აფასებს როგორც „რთულს და არამყარს", აღნიშნავს, რომ 30 ივნისს სამხედრო საკითხებზე ხელმოწერილი შეთანხმების შემდეგ ფედერალურ ძალებს 1335-ჯერ დაუშინეს ცეცხლი, გრძელდება ბოევიკების დივერსიები და პროვოკაციები, ამასთან, ცდილობენ პასუხისმგებლობა ფედერალურ ძალებს დააკისრონ.

აღნიშნავენ, რომ ოთხშაბათს ცეცხლი დაუშინეს რუსეთის ჯარების ავტოკოლონას, რომლის დროს 18 კაცი დაიხოცა, არიან დაჭრილები, მიუხედავად ამისა, მოელიან, რომ მოლაპარაკება ფედერალურ დელეგაციასა და დუდაევის წარმომადგენელთა შორის მალე გაიმართება, ვინაიდან სეპარატისტთა მხარე დაინტერესდა პოლიტიკური მოწესრიგების საკითხზე რუსეთის მხარის მოსაზრებით.

უნგრეთს დაბრუნდა

ევროპის უშიშროებისა და თანამეგობრობის ორგანიზაციის ხელმძღვანელი შანდორ მეშერეში უნგრეთს დაბრუნდა, როგორც აღნიშნავენ — ჯანგატეხილია. ეჭვობენ, რომ მან კვლავ შეძლოს ამ მისიის ხელმძღვანელობა. მიღებული წესის თანახმად, ჩეჩნეთის მისიას მხოლოდ პირველ იანვარს უნდა ჩაუდგეს შვეიცარიის წარმომადგენელი.

კანადა შეშფოთებულია

კანადის ფრანგულენოვან პროვინცია კვებეკში ორშაბათს გაიმართება რეფერენდუმი დამოუკიდებლობის შესახებ. ეს პროვინცია დიდი ხანია ცდილობს დამოუკიდებლობის მიღებას. მაგრამ ადრე ჩატარებულ რეფერენდუმზე უმეტესობამ კანადის შემადგენლობაში დარჩენა ისურვა., ამჯერად ფიქრობენ, რომ სეპარატისტული განწყობილებები იმძლავრებს. პროვინციის ლიდერი ლუსიან ბუშარი დარწმუნებულია, რომ ორშაბათიდან კვებეკი დამოუკიდებლობის გზით დაიწყებს სვლას. კანადის პრემიერ-მინისტრმა ჟან კრეტიენმა ოთხშაბათს ტელევიზიით საგანგებოდ მიმართა კანადელებს არ დაუშვან ქვეყნის გახლეჩა, რაც უდიდეს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ზიანს მიაყენებდა კანადის ეკონომიკასა და პოლიტიკას


ХОТИМ БЫТЬ СЫТЫМИ!
ХОТИМ БЫТЬ ЦЕЛЫМИ!

გაზ. „იზვესტია".

იტალიის პარლამენტში

სამშაბათს ღამით იტალიის დეპუტატთა პალატაში დაიწყო დისკუსია ლამბერტო დინის მთავრობისადმი ნდობის საკითხზე.

მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლუციის პროექტი, რომელსაც ხელს აწერენ მემარჯვენე პარტიების ხელმძღვანელები, წარადგინა „წინ, იტალიას" მოძრაობის ლიდერმა, ქვეყნის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ. მან კვლავ გაიმეორა, რომ გარდამავალი „ტექნიკური" კაბინეტი ლამბერტოს დინის მეთაურობით პოლიტიკურ მთავრობად გადაიქცა, რომელიც მემარცხენე ძალების ინტერესებს იცავს.

პრეზიდენტები მოსკოვში ჩავლენ

იუგოსლავიის პრობლემაზე რუსეთისა და ამერიკის ბორის ელცინისა და ბილ კლინტონის მორიგების თანახმად, სერბიის, ხორვატიისა და ბოსნიის პრეზიდენტების შეხვედრა ჯერ რუსეთში გაიმართება, ხოლო შემდეგ ისინი ვაშინგტონს ჩავლენ. მოსკოვში ხორვატიის პრეზიდენტის ფრანიო ტუჯმანის, სერბიის პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის პრეზიდენტის ალია იზეტბეგოვიჩის შეხვედრა პრეზიდენტ ბორის ელცინის ეგიდით გაიმართება. შეერთებულ შტატებში პრეზიდენტები 1 ნოემბერს შეხვდებიან ერთმანეთს.

ბილ კლინტონი პრეზიდენტებს ფრანიო ტუჯმანს და ალია იზეტბეგოვიჩს სამშაბათს შეხვდა.

თეთრი სახლის მეთაურმა გააკრიტიკა ამერიკის ის წარმომადგენლები, რომლებსაც არ სურთ დაუშვან სერბიის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი სამშვიდობო მოლაპარაკებაზე.

ელექტორატი

პარლამენტში—ერის საუკეთესო შვილები

საქართველოს სოციალური პროგრესის სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი ელგუჯა ქვათაძე მოახლოებული არჩევნების წინაპერიოდს საკუთარი თვალთახედვით მიმოიხილავს და ამბობს:

გასულ საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს მოსახლეობამ სერიოზული შეცდომები დაუშვა, რამაც პარლამენტში პოლიტიკურად მოუმზადებელი და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოუცდელი ადამიანების მოსვლა განაპირობა. ფაქტობრივად, პარლამენტის კანონშემოქმედებითი მუშაობის მაგისტრალურ ხაზს უცხო ქვეყნების კანონების მექანიკური გადმოტანა წარმოადგენდა, რაც ფრიად უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს სახელმწიფოებრივ მშენებლობასა და პარლამენტის საზოგადოებრივ ავტორიტეტზე.

საზოგადოებრივი აზრი რეალურად აფიქსირებს, რომ მოსახლეობას არა აქვს გააზრებული ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ერის გადარჩენის საქმეში ეკისრება გონიერ პარლამენტს. ამის შედეგია, სწორედ, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა პარლამენტის წევრების შერჩევას.

არ არის დასამალი, რომ ბევრმა დეპუტატობის კანდიდატმა არც კი იცის, რა უნდა აკეთოს პარლამენტის წევრმა, მაგრამ იქ შესაღწევად ძალღონეს მაინც არ ზოგავს.

პარლამენტში მოხვედრისათვის დიდი ინტერესით გამოირჩევიან მართვის სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანები. მათგან მკვეთრად გასხვავდება მეცნიერების სფერო, რომელსაც პარლამენტში მოღვაწეობის დიდი პოტენციური შესაძლებლობები აქვს.

პარტიებისა და დეპუტატობას კანდიდატების სიმრავლე, მკვეთრად ლიმიტირებული საარჩევნო პერიოდი, საინფორმაციო საშუალებების ხელმიუწვდომლობა საშუალებას არ აძლევს ამომრჩევლებს უკეთ გაეცნონ არჩევნებში მონაწილე პარტიებს, დეპუტატობის კანდიდატების საარჩევნო პლატფორმებს და მისი გათვალისწინებით გააკეთონ არჩევანი. ამიტომ, პარლამენტში შეღწევის შესაძლებლობა იმ პარტიებსა და დეპუტატობის კანდიდატებს ეძლევათ, რომლებსაც აქვთ მატერიალური შესაძლებლობები ფართოდ გაშალონ თავიანთი სარეკლამო მუშაობა.

მართალია, პარლამენტისთვის თავიანთი ცოდნით მეცნიერები დიდი შენაძენი იქნება, მაგრამ ხელმოკლეობის გამო, მათ საშუალება არა აქვთ ჩაატარონ სააგიტაციო სამუშაოები. ამიტომ, პარლამენტს ჩვენი საზოგადოების ეს საუკეთესო ნაწილი რომ არ დაეკარგოს, საჭირო იქნება საარჩევნო კომისიებმა შექმნან დეპუტატობის კანდიდატების ამომრჩევლებთან შეხვედრის ისეთი მექანიზმი, რომ ყველა ამომრჩეველს მიეცეს საშუალება საფუძვლიანად გაიცნოს თავისი კანდიდატი და ამის მიხედვით მოახდინოს არჩევანი.

ჩემს თანამემამულეებს გულწრფელად ვთხოვდი, ფრთხილად, აუჩქარებლად მოუხმონ გონიერებას და ცრუ დაპირებებით არ მოტყუვდნენ, მესამედ შეცდომის დაშვების უფლება არა გვაქვს. პარლამენტში ერის საუკეთესო შვილები უნდა ავირჩიოთ.

ელგუჯა ქვათაძე,
პროფესორი.

აფხაზეთი - ტკივილი ჩვენი

ბრალი ედებათ ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულში

— გაერო და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები ცნობენ, რომ აფხაზი სეპარატისტები აწარმოებდნენ და აწარმოებენ ეთნიკურ წმენდას ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ; უშიშროების საბჭოს რეზოლუციებთან ერთად, რომლებიც უყოყმანოდ იცავენ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, გმობენ ლტოლვილთა მიმართ სეპარატისტთა ქმედებას. აღნიშნული დოკუმენტები მტკიცე საერთაშორისო სამართლებრივ და მორალურ პოლიტიკურ ბაზას ქმნიან აფხაზ სეპარატისტთა სამართალში მისაცემად — განაცხადა რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილემ ანზორ ბალუაშვილმა 25 ოქტომბერს რესპუბლიკის პროკურატურაში გამართულ პრესკონფერენციაზე.

პრესკონფერენცია მიეძღვნა აფხაზეთში 1992-1993 წლებში მიმდინარე მოვლენების გამოძიების შედეგებს.

გენერალური პროკურორის მოადგილემ აღნიშნა, რომ 60-იანი წლებიდან აფხაზეთის ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების მაღალი თანამდებობის მოხელეებისა და სხვა პირებისაგან ჩამოყალიბდა და მოქმედებდა ექსტრემისტ შეთქმულთა ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების შეზღუდვას და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობიდან აფხაზეთის ძალადობრივი გზით გამოყოფას.

ამ დანაშაულებრივი მიზნების განხორციელების გასაადვილებლად და საერთაშორისო საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად შეთქმული ექსტრემისტები განზრახ ამახინჯებდნენ და აყალბებდნენ ისტორიულ ფაქტებს, მიმართავდნენ პოლიტიკურ ინსინუაციებს, მოვლენების მიკერძოებულ ინტერპრეტაციას, დემაგოგიას, ცილისწამებას, შანტაჟს, ლეგენდებს თხზავდნენ ქართველთაგან აფხაზეთის ტერიტორიის დაპყრობის, აფხაზური ეთნოსის ჩაგვრის და განადგურების შესახებ.

სეპარატისტები ათეული წლების განმავლობაში ამკვიდრებდნენ ქართველებისა და აფხაზების მშვიდობიანი თანაცხოვრების შეუძლებლობის კაცთმოძულე დოქტრინას.

სახელმწიფო პოლიტიკად აქციეს ფაშისტური მეთოდებით „თვითგამორკვევის უფლებათა" რეალიზაციისათვის შეიარაღებული ბრძოლა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ძალადობრივი დარღვევა, დემოგრაფიული ვითარების შეცვლა ეთნიკური ჯგუფების განადგურებითა და განდევნით.

ისტორიული ორიენტაციის შესაცვლელად მეზობელ და მეგობარ ხალხებს საქართველოს მტრის სახედ უხატავდნენ, [illegible] გულის მოსაგებად ჩვეული ცბიერებით ამტკიცებდნენ, თითქოს აფხაზეთი რუსეთი იყოს, რუსეთს ეკუთვნოდეს მთელი მისი სიმდიდრე, უწინარესად — ყოფილი საკავშირო ჯანმრთელობის კერები.

ჩრდილოეთ კავკასიისა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მცხოვრებ მაჰმადიანებს უნერგავდნენ აზრს, რომ კავკასია ერთიანი და განუყოფელია მუსულმანთათვის, რომ ქართველები ფიზიკურად ანადგურებდნენ აფხაზებს და დაუყოვნებლივ მოითხოვდნენ დახმარებას.

აფხაზეთში მოთარეშე ექსპრეზიდენტის ბანდფორმირებებს აქეზებდნენ საქართველოს ხელისუფლების დასამხობად, დივერსიების და ტერორისტული აქტების მოსაწყობად, ქვეყანაში განუკითხაობის და ქაოსის დასამკვიდრებლად.

ფაშისტური სეპარატიზმის იდეოლოგიის და მისი პრაქტიკული ნაბიჯების გამოსააშკარავებლად გამოძიებით მოპოვებული და დაფიქსირებულია აურაცხელი დოკუმენტური მტკიცება აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის მასობრივი დარბევის, წამების, ძლევის, საცხოვრებელი სახლების და პირადი ქონების, ისტორიის და კულტურის ძეგლების, სკოლების და სხვა ობიექტების ძარცვის და განადგურების, ქალების, მათ შორის მცირეწლოვანი გოგონების გაუპატიურების, მოქალაქეთა დეპორტაციის, დაპყრობილ ტერიტორიაზე დარჩენილი პირების მონურ მდგომარეობაში ჩაყენების, ექსპლუატირების ათასობით ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გენერალური პროკურორის მოადგილემ მრავალი შემაძრწუნებელი ფაქტი მოიყვანა. ამასთან აღნიშნა, რომ კონფლიქტის პერიოდში გამოვლინდა აფხაზთა და ქართველთა თანადგომის და დახმარების, აფხაზების მიერ ქართველი მოსახლეობის გადარჩენის მრავალი შემთხვევა.

დადასტურებულია, რომ აფხაზეთის კონფლიქტში ე. წ. მოხალისეები სეპარატისტთა შეიარაღებული ბანდების 60 პროცენტს შეადგენდნენ.

სწორედ მათი მეშვეობით შეძლეს ექსტრემისტებმა ქართველთა განდევნა აფხაზეთიდან.

ბატონმა ანზორ ბალუაშვილმა აღნიშნა, რომ ასეთ ვითარებაში დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით აფხაზეთში ექსპრეზიდენტის მომხრეებმა გააჩაღეს ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა. ისინი და აფხაზი სეპარატისტები ერთობლივად ცდილობდნენ ქვეყანაში ფართო მასშტაბის დესტაბილიზაციის შექმნას, რაც ორივე მხარეს ხელს აძლევდა თავიანთი ზრახვების განხორციელებაში. სწორედ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, — აღნიშნა ანზორ ბალუაშვილმა, — სახელმწიფო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების შეიარაღებული ძალების შეზღუდული კონტინგენტის მეშვეობით დაეცვათ საარსებო საკომუნიკაციო ცენტრები. ეს გადაწყვეტილება არ ითვალისწინებდა აფხაზეთის ტერიტორიაზე დასახლებულ პუნქტებში განლაგებას. სამწუხაროდ, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა თვითნებურად უგულებელყო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოთხოვნა, მკაცრად დაეცვათ საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილება. ეს დასტურდება როგორც სახელმწიფო საბჭოს სხდომის ოქმებით, ასევე, კონკრეტულ მოწმეთა ჩვენებებით, დოკუმენტური მასალით. ყოველივე ამან სეპარატისტებს კონფლიქტის პროვოცირების საშუალება მისცა.

გამოძიების პირველი ეტაპი დამთავრდა. კონკრეტული ფაქტებით დასტურდება, რომ როგორც კონფლიქტის დაწყებამდე, ასევე, მისი მსვლელობის დროს და შემდეგაც სეპარატისტები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ აფხაზეთში მოთარეშე ექსპრეზიდენტის ბანდფორმირებებთან, ერთობლივად წარმართავდნენ დივერსიულ და ტერორისტულ აქტებს ქვეყანაში ქაოსისა და განუკითხაობის დასამკვიდრებლად, ასევე, კონკრეტული მტკიცებულებებით დგინდება, რომ თავის მხრივ ქობალიასთან და სხვებთან დანაშაულებრივ ალიანსში იმყოფებოდნენ ყოფილი თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი და უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი იგორ გიორგაძე. დანაშაულში მხილებულია 600-მდე პირი, რომლებიც მალე წარსდგებიან მართლმსაჯულების წინაშე, — თქვა დასასრულ გენერალური პროკურორის მოადგილემ.

მზია გელენავა.

მართლწესრიგი

მინისტრები შეთანხმდნენ...

დამთავრდა თანამეგობრობის ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების თათბირი

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში აცნობეს, მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი შოთა კვირაია 25 ოქტომბერს დაბრუნდა ერევნიდან, სადაც ორ დღეს მიმდინარეობდა თანამეგობრობის ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების თათბირი.

თათბირზე განიხილეს დამნაშავეობასთან ბრძოლაში თანამეგობრობის ქვეყნების შინაგან საქმეთა ორგანოების ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის განმტკიცების საკითხები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი შოთა კვირაია შეხვდა რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრს, გენერალ-პოლკოვნიკ ანატოლი კულიკოვს. ბატონმა შოთა კვირაიამ დააყენა 29 აგვისტოს ტერორისტულ აქტთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ რუსეთის ტერიტორიაზე დღემდე იმყოფებიან მომხდარი ტერორისტული აქტის ორგანიზატორები და რუსეთის სამართალდამცავ ორგანოებს ჯერჯერობით მათ მიმართ არანაირი ზომები არ მიუღიათ, რასაც ითვალისწინებს ორ ქვეყანას შორის დადებული შეთანხმება ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის თაობაზე.

ანატოლი კულიკოვმა აღნიშნა, რომ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო პირნათლად შეასრულებს ორმხრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას — მოძებნის, დააკავებს და ქართულ მხარეს გადმოსცემს საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის ყოფილ თავმჯდომარეს იგორ გიორგაძეს და 29 აგვისტოს ტერორისტული აქტის სხვა ორგანიზატორებს.

გულიკო მარკოზაშვილი,
საქინფორმის კორ.

რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრის ცნობა

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ განმეორებით მიმართა უკვე ახლად დანიშნულ რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურორს ბატონ ი. ი. სკურატოვს შუამდგომლობით ხელი შეუწყოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ყოფილი თავმჯდომარის ი. პ. გიორგაძისა და ამ უწყების ყოფილ ხელმძღვანელ მუშაკთა ტ. გ. ნასყიდაშვილისა და ი. ვ. ბულიევის მოძებნაში, დაკავებასა და გადმოცემაში, რომლებსაც ბრალად ედებათ 1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მიმართ მომხდარი ტერორისტული აქტის ორგანიზაცია და განხორციელება, აგრეთვე, როგორც გამოძიებით არის დადგენილი, მთელ რიგ სხვა ტერორისტულ აქტებში მათი უშუალო მონაწილეობა.

ითვალისწინებს რა პროკურატურებს შორის მოქმედ შეთანხმებასა და მორიგებას, აგრეთვე ტერორიზმთან ბრძოლის აქტუალობას, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი გამოთქვამს რწმენას, რომ საბოლოოდ გადაწყდება ეს საკითხი.



შენ კაცი იყავ, გქონდა კაცის ყველა თვისება...

თბილისის ტრუბადურები

ეს რევაზ ლაღიძეა...

ქართული ჰანგის მეფე რამდენიმე წამით მოსწყვეტია საყვარელ საქმეს და ფოტო-ობიექტივისაკენ იმზირება...

— აგერ, „ბრაკონიერობისას" „გამოუჭერია" ობიექტივს თევზაობისა და ნადირობის უზომო ტრფიალი...

— ესეც ქართული სუფრის სწორუპოვარი თამადა და ლხინის კაცი...

„მიშა ჩირინაშვილის ოჯახშია გადაღებული — მიწვეული ჰყავს ყველა და ერთადერთი „მსხვერპლის" დაცემასღა ელოდება", — ღიმილით მიამბობს კომპოზიტორის მეუღლე — უსათნოესი ქალბატონი თინა შატბერაშვილი.

— ამ ფოტოებს ალბათ სრულყოფდა ერთი კადრიც, ვთქვათ: რევაზ ლაღიძე ოჯახურ გარემოში — ცოლ-შვილში, შვილიშვილებში... კი გვაქვს ასეთი სურათი, მაგრამ, არა მგონია, საგაზეთოდ გამოდგეს... თუმცა, რა საჭიროა „საბუთი", იმედია, დამერწმუნებით: რეზოს უზომოდ უყვარდა შინაურებში ყოფნა, ახლობლები... მზე და მთვარე ამოსდიოდა შვილიშვილებზე... ზღაპრების მთელ სერიალებს იგონებდა მათთვის... ზაფხულობით, სადმე, თბილისის ახლო-მახლო აგარაკზე თუ ვისვენებდით, მოირბენდა შაბათ-კვირას და ჰქონდათ ერთი რია-რია...

— როგორც მეუღლე, როგორი იყო, ქალბატონო თინა... ხომ არ გაეჭვიანებდით?...

მიმიხვდა ქარაგმას:

— არა, არა... ასეთი რამ მე არასდროს მიგრძვნია... საერთოდ, ქალებს ქეიფი და ყანწის ტრიალი ერჩია... „წუწუნობა არ მიყვარსო" — ხშირად უთქვამს ძმაკაცებში ჩამჯდარს... თუმცა, ისეთ ხალხთანაც სიამოვნებდა სუფრასთან ჯდომა, რომლებიც სმაში, მაინცადამაინც, ვერ მიჰყვებოდნენ... მაგალითად, აკადემიკოს ვახტანგ ბერიძესთან საუბარი არ მოსწყინდებოდა...

გალაკტიონი მისი ღმერთი იყო... დიდად აფასებდა ანა კალანდაძის, ირაკლი აბაშიძის, მურმან ლებანიძის პოეზიას... „გალაკტიონის ლექსის მუსიკას მე რაღა უნდა შევმატოო" — იტყოდა... ძლიერ განიცდიდა პაოლო იაშვილის სიცოცხლის ტრაგიკულ დასასრულს, თავს გადააქნევდა: „მარტო კოლაუ ნადირაძე მიჰყვებოდა მის კუბოსო"... ხშირად ურეკავდა და ეხასებოდა ბატონ კოლაუს... ირაკლი აბაშიძის სტრიქონებს გაიხსენებდა ხოლმე — პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილს: „შენ კაცი იყავ, გქონდა კაცის ყველა თვისება, წლობით შეგძლო გემიჯნურა, გეგრძნო მელოსა"... „მუდამ ზეიმად, მუდამ ლხინად გამზადებული, ძმობის შემკვრელი, სუფრის თავი, ბეჭის დამჭრელი"... შეიძლება ამ თვისებაში თავის თავსაც ხედავდა... შეიძლება...

ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში იმედის ნათელის გაელვებას ჰგავდა შარშან ბათუმის სახელმწიფო თეატრში რევაზ ლაღიძის ოპერა „ლელას" პრემიერა.

ეს იყო ნამდვილი ხელოვნების ზეიმი. ხალხი დიდხანს უკრავდა ტაშს სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორს, მონაწილეებს, დირიჟორს... მაგრამ, ეს ტაში და ოვაცია, ცხადია, უპირველეს ყოვლისა ეკუთვნოდა ქართველი ხალხის უსაყვარლეს კომპოზიტორს, ხელოვანს, რომლის ჰანგი და მელოდია ჩვენი ყოველდღიურობის, ჩვენი ჭირისა და ლხინის თანამგზავრი გახდა და ოპერა „ლელაშიც", ვით მარგალიტი, უხვად არის მიმობნეული.

ისევ ქალბატონ თინა შატბერაშვილის მოგონება:

— **ოპერას** თავიდან „კოლხური ლეგენდა" ერქვა, მერე უწოდა თავისი ქალიშვილის სახელი — ლელა... ბავშვივით განიცდიდა მის სიავკარგეს... ღელავდა, ნერვიულობდა... მეტყოდა: „ზოგი მეუბნება — კინოფილმების მუსიკა რად გამოიყენეო... მე ისეთი ხარისხის მუსიკას ვწერ კინოფილმებისთვის, შემდეგ ოპერაშიც რომ გამომადგეს"... კიდევ ჰქონდა რამდენიმე ოპერა ჩაფიქრებული, მაგალითად — ფიროსმანზე, ხევისბერ გოჩაზე...

ავტორის მოგონება:

ჩემს გვერდით ხანშიშესული მანდილოსანი იდგა და თავგამოდებით უკრავდა ტაშს. შევამჩნიე, როგორ ჩამოუგორდა თვალიდან კურცხალი და მალულად მოიწმინდა... სცენაზე კი იოვანა ბრწყინავდა... მას უკვე მერამდენედ გაამეორებინეს „თბილისო"... ისევ მოითხოვდნენ...

ეს სიმღერის გამარჯვება იყო. სიმღერისა, რომლის პოპულარობა ჩვენთან და საზღვარგარეთ „სულიკოსასაც" კი უტოლდება. რა თქმა უნდა, გახსოვთ იმ წლებში მაინც — თბილისის ათას ხუთასი წლისთავზე — როგორ ღიღინებდა დიდ-პატარა ამ მელოდიას.

... ადრიანი გაზაფხულის დილა... დიდი კომპოზიტორის სიახლოვეს გატარებული ნახევარი საათი... მისი ღიმილიანი სახე, მისი ხალასი იუმორი და არავითარი დაღონება ავადმყოფობის მოძალების გამო...

„გულს რად მიკლავ, მე სიცოცხლე ჯერ არ დამიმთავრებია" — ჩაიღიღინა ერთ მომენტში, — ძალიან მიყვარს ეს სიმღერა „საბუდარელი ჭაბუკიდან"... საერთოდ, შოთა მანაგაძის ფილმებში ბევრი სიკეთეა და, მგონი, მასთან სიმღერებიც უკეთესი გამომდის... რომ იცოდე — თუ რამ კარგი შემიქმნია, სულ აწეულ გუნებაზე, ძმაკაცებიდან, ჩვენი მადლიანი ბუნების წიაღიდან შინმობრუნებულს... ზოგჯერ ნადირობისას თოფის მაგივრად ფანქარი მომიშველებია და სასწრაფოდ ქაღალდზე გადამიტანია მომავალი სიმღერის ჰანგი... ერთხელ, გვიან ღამით დამირეკა ცეკას ერთ-ერთმა მდივანმა: — თუ კაცი ხარ, იქნებ ბუნების დაცვაზე რაიმე კარგი სიმღერა დაგვიწეროო... ნასვამი ვიყავი, მივუჯექი ფორტეპიანოს და თხუთმეტ წუთში დავწერე „ტყე შეუნახე შვილებსა"...

... რამდენიმე თვეში იგი — სამოცი წლისა — მარადისობას შეუერთდა და მომავალ თაობას დაუტოვა მრავალი თვალ-მარგალიტი. დაუტოვა უდიდეს ლექსს შეტოლებული სიმღერა, ლამის ეროვნულ ჰიმნად ქცეული — „ჩემო კარგო ქვეყანავ" — თითქოს სპეციალურად შექმნილი მომავალი ჭირთათმენისთვის...

თავად კი უკვდავებაში გადასახლდა...

• • •

...**ოვაციებს** ბოლო არ უჩანდა ბათუმის თეატრში, დიდებული ქართული ოპერის ჰანგები, თითქოს, მთელს აჭარას, ზღვას თუ ხმელეთს მოჰფენოდა, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა ეს ჰანგები და შორს — ლაზისტანის მთებში იკარგებოდა!

ვილენ მარდალეიშვილი.

კალათბურთელთა და ფეხბურთელთა გაერთიანებით საქმე მოიგო

ლევან მოსეშვილი გვესაუბრება თბილისის „დინამოს" და საერთოდ, ქართული კალათბურთის პერსპექტივებზე

კალათბურთის გულშემატკივარს კარგად მოეხსენება, თუ რა გასაჭირში იმყოფებოდა ამ ბოლო დროს „დინამოს" კალათბურთელ ვაჟთა გუნდი, გუნდი, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე საპრიზო ადგილებისათვის იბრძოდა შარშან, სეზონის დასაწყისში „დინამოს" თითქოს გამოუჩნდა სპონსორი, თითქოსდა უნდა დაწყებულიყო მისი აღორძინება, მაგრამ... სულ რამდენიმე თვეში კვლავ უპატრონოდ აღმოჩნდა.

და, აი, წლევანდელი ჩემპიონატის წინ „დინამოს" კალათბურთელ ვაჟთა გუნდი შეუერთდა „დინამოს" საფეხბურთო კლუბს, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა ქართულ სპორტში.

იმისათვის, რომ გაგვეგო — თუ რა ცვლილებები მოხდა გუნდში და, საერთოდ, რა მდგომარეობაა დღეს „დინამოში", ვეწვიეთ დიღმის საკალათბურთო საწვრთნელ ბაზას და ინტერვიუ ვთხოვეთ გუნდის უფროს მწვრთნელს **ლევან მოსეშვილს.**

— ვინ არის „დინამოს" საფეხბურთო კლუბთან შეერთების ინიციატორი და რამდენად მყარად მიგაჩნიათ ეს კავშირი?

— ინიციატორი თვითონ საფეხბურთო კლუბია. ამ კავშირის შექმნის თაობაზე დიდხანს იყო ლაპარაკი და საბოლოოდ შეიქმნა დაახლოებით ისეთი კლუბი როგორიცაა ესპანეთის „რეალი" და „ბარსელონა", სადაც საფეხბურთო და საკალათბურთო გუნდები გაერთიანებული არიან ერთი სახელით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი საფეხბურთო კლუბთან შეერთების ერთ-ერთი ინიციატორი იყო რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად მყარი იქნება ეს კავშირი, ჩვენ, ჩვენი მხრივ ვეცდილობთ, რომ მოწოდების სიმაღლეზე ვიყოთ და არ შევარცხვინოთ კლუბის სახელი...

— ახალი სეზონისთვის როგორ მოემზადეთ?

— ჩემპიონატისათვის მზადება დავიწყეთ ზაფხულში დიღმის საწვრთნელ ბაზაზე, შემდეგ ორკვირიანი შეკრება გავიარეთ ტრაპიზონში, სადაც ყველა პირობა გვქონდა შექმნილი ნაყოფიერი ვარჯიშისათვის. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი თამაშის ჩატარება მოვახერხეთ ადგილობრივ გუნდთან და დავამარცხეთ იგი დიდი ანგარიშით.

— თუ არის ცვლილებები გუნდის შემადგენლობაში?

— მას მერე, რაც „კაქტუსმა" გამოაცხადა, რომ უსახსრობის გამო აღარ შეუძლია კალათბურთელთა მატერიალური უზრუნველყოფა, მოვიწვიეთ დავით ბერძენიშვილი და ირაკლი ხოშტარია, გუნდს დაუბრუნდა არჩილ [illegible], ჩვენთან თამაშის სურვილი გამოთქვა აგრეთვე ვაკო ბექანიშვილმა, რომელიც ადრე „ვითას" ღირსებას იცავდა; „გეორგიკადან" მოვიწვიეთ პერსპექტიული მოთამაშე დათო ჩიქოვანი. გუნდმა დიდი დანაკლისი განიცადა ლევან ქარაბაკის წასვლით. იგი „ვითაში" გადავიდა, თუ შეიძლება ითქვას, მორიგი მოთამაშე მოიპარეს. ქარაბაკი ჩვენთან ერთად უნდა წამოსულიყო ტრაპიზონში, მაგრამ დავტოვეთ ნაკრების შეკრებაზე და „ვითამ" გვარიანი თანხა გაიღო მის გადასაბირებლად. ეს პირველი შემთხვევა არ არის — როგორც გულშემატკივარმა იცის, ასეთივე გზით წავიდნენ ირაკლი ვაშაკიძე, გია სანაძე, ირაკლი ბაქრაძე და კახა შენგელია. გუნდი დატოვა აგრეთვე ალეკო დავითულიანმაც, რომელიც „კაქტუსში" იასპარეზებს.

— გუნდის შემადგენლობაში არ ჩანს გურამ ვაშაკიძე..

— ვაშაკიძე ისევ „დინამოში" ირიცხება, ჩვენ მისი იმედი გვაქვს. მან ამ ტურისათვის უპრიალოდ მოსამზადებელი პერიოდი ვერ გაიარა, ფინალური თამაშებისთვის კი შეიძლება დავიხმაროთ.

— თქვენი აზრით, ვინ იტვირთებს „დინამოს" ლიდერობას ამ ჩემპიონატში?

— ისეთი გამოკვეთილი ლიდერი, როგორიც ქარაბაკი იყო, ვფიქრობ, წლეულს აღარ გვეყოლება, მაგრამ „დინამოს" ძირითადი ბირთვი მობილური და ქმედუნარიანია.

— როგორ შეფასებას მისცემდით თქვენი გუნდის მიერ უკვე ჩატარებულ მატჩებს ამ ჩემპიონატში?

— საკმაოდ დაბალი დონის თამაშები იყო, გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ მატჩი „კაქტუსთან". საერთოდ, ეტყობოდა სათამაშო პრაქტიკის უქონლობა როგორც მთლიანად გუნდს, ასევე ცალკეულ მოთამაშეებს.

— როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოთ „ვითას" ძლიერ კლუბს ჩემპიონობისათვის ბრძოლაში?

— ჩვენ ფარ-ხმალის დაყრას არ ვაპირებთ. შევეცდებით, რომ „ვითა" იოლად ვერ გავიდეს ფონს.

— ჩემპიონატის სტრუქტურას როგორ შეაფასებდით და ხართ თუ არა პროფესიული ლიგის შექმნის მომხრე?

— სტრუქტურა არ არის ცუდი, მაგრამ დიდი ინტერვალებია ტურიდან ტურამდე და ამიტომ მოთამაშეები „ფორმიდან ვარდებიან". პროფლიგის შექმნის მომხრე ვარ, მაგრამ დღესდღეობით ეს იდეა საკმაოდ არარეალურია, რადგან გუნდების უმრავლესობა ფინანსურ სიდუხჭირეს განიცდის, თანაც იგრძნობა მაღალი დონის მოთამაშეთა ნაკლებობა.

— თქვენი აზრით, რა შანსი აქვს საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატში?

— ჩვენი ნაკრები ფაქტობრივად ყველა რგოლში საკმაოდ კარგი მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ძლიერი შემადგენლობა ქართული კალათბურთის არსებობის მანძილზე არასოდეს გვყოლია. თუკი მათ დაემატებათ ვახტანგ ნაცვლიშვილი, გუნდი, უბრალოდ, ვალდებულია გავიდეს ფინალურ ეტაპზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია „დინამოს" აღზრდილის ვოვა სტეფანიას შესანიშნავი თამაში.

— რას გვეტყოდით „დინამოს" სამომავლო გეგმებზე?

— ჯერჯერობით აქ ვვარჯიშობთ, ნოემბერში კი გვსურს მონაწილეობა მივიღოთ ერევნის საერთაშორისო ტურნირზე. კლუბის დირექტორატს დაგეგმილი აქვს აგრეთვე ჩვენი მონაწილეობა ესპანეთის, გერმანიის და იტალიის საერთაშორისო ტურნირებზე...

— წარმატებას გისურვებთ, ბატონო ლევან!..

ესაუბრა

იაგო სავანელი.

1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ოცდამეერთე ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი გაიმართა 1995 წლის 15 აგვისტოს, ქ. თბილისის ვაკის რაიონში. მოგება ხვდა შემდეგი ნომრებისა და სერიის ობლიგაციებს

NN სერიის	NN ობლიგაციის	მოგების ოდენობა კუპონებში	NN სერიის	NN ობლიგაციის	მოგების ოდენობა კუპონებში	NN სერიის	NN ობლიგაციის	მოგების ოდენობა კუპონებში
00023	018X	100000	08590	035X	100000	15836	1-40	50000
00241	009X	100000	08813	039X	100000	16037	010X	100000
01267	019X	250000	08830	1-40	10000	16043	1-40	50000
02317	028X	100000	08865	1-40	50000	16279	039X	250000
02443	019X	100000	08896	030X	250000	16402	020X	250000
02518	033X	100000	09049	029X	100000	16516	012X	100000
02629	030X	100000	09189	021X	100000	16593	011X	250000
02889	019X	100000	09381	1-40	75000	16905	017X	250000
02984	022X	75000	09994	020X	250000	17531	021X	250000
03095	004X	100000	10034	027X	100000	17729	024X	100000
03274	006X	100000	10213	1-40	75000	17747	031X	100000
03286	008X	100000	10328	004X	50000	17768	003X	250000
03818	001X	100000	10410	008X	100000	17780	039X	100000
03864	006X	100000	10623	036X	250000	18005	040X	250000
04114	006X	100000	10869	019X	100000	18203	1-40	75000
04278	017X	100000	10904	034X	250000	18456	018X	100000
04510	019X	100000	11580	032X	100000	18762	1-40	50000
05062	020X	100000	11613	005X	100000	19311	016X	100000
05302	029X	250000	11744	1-40	10000	19668	024X	100000
05416	1-40	50000	11804	033X	100000	19962	020X	100000
05687	007X	500000	12086	003X	250000	21362	1-40	75000
05726	030X	100000	13389	009X	500000	22146	034X	500000
05738	035X	250000	13877	021X	500000	22176	013X	500000
06211	017X	100000	13908	009X	100000	22361	1-40	50000
06284	1-40	75000	13971	009X	100000	22927	1-40	75000
06376	013X	100000	14153	003X	250000	23368	007X	250000
06487	018X	100000	14254	003X	250000	23382	003X	100000
06608	005X	100000	14342	039X	250000	23596	1-40	50000
06691	016X	250000	14436	010X	100000	23794	1-40	50000
07213	1-40	75000	14456	005X	100000	23865	1-40	50000
07271	1-40	75000	14873	1-40	75000	24008	030X	100000
07433	037X	75000	14952	005X	100000	24169	1-40	50000
07584	001X	100000	15208	021X	100000	24233	1-40	50000
08146	015X	100000	15344	005X	100000	24272	1-40	50000
08489	010X	1000000	15445	1-40	50000	24693	003X	100000
08542	029X	100000	15552	1-40	50000	24861	018X	250000
08573	009X	100000	15643	001X	100000	—		

* ობლიგაციის ამ სერიის ყველა დანარჩენ 39 ნომერს მოგება ხვდა 10000 კუპონი.

ცხრილში მოცემულია მოგებები 5000 კუპონიან ღირებულ ობლიგაციებზე.

თუ მოგება ხვდა 10000 კუპონიან ღირებული ობლიგაციის ერთ ნომერს, მასზე მოგება გაიცემა ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებასთან ერთად.

მაგალითად, თუ ობლიგაციამ მოიგო 1000000, 500000, 250000, 100000, 75000, 50000, 10000 კუპონი, მასზე შესაბამისად გაიცემა 1010000, 510000, 260000, 110000, 85000, 60000, 20000 კუპონი.

1000 კუპონიან ღირებული ობლიგაციის მოგების შემთხვევაში გაიცემა მოგების მეხუთედი ნაწილი.

მაგალითად, თუ ობლიგაციამ მოიგო 1000000, 500000, 250000, 100000, 75000, 50000, 10000 კუპონი — შესაბამისად გაიცემა 200000, 100000, 50000, 20000, 15000, 10000, 2000 კუპონი.

მოგების თანხაში ჩათვლილია მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვითაც შემნახველი ბანკის დაწესებულებები აწარმოებენ მოგებების გაცემას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

კომისიის თავმჯდომარე — ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ჯ. შანშელაშვილი;

თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ფასიანი ქაღალდების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ზ. გოგიშვილი;

თავმჯდომარის მოადგილე — ქ. თბილისის ვაკის რაიონის საფინანსო განყოფილების უფროსი რ. ბარამიძე;

პასუხისმგებელი მდივანი — გაერთიანებული ქართული ბანკის ფიზიკურ პირებთან ურთიერთობის დეპარტამენტის განყოფილების უფროსი დ. ბაბაშვილი.

ყურადღება!

28 ოქტომბერს გაიმართება საქართველოს სოციალისტური პარტიის (ლიდერი ბატონი ვახტანგ რჩეულიშვილი) პირველი კონგრესი. დასაწყისი 16 საათზე, რეგისტრაცია 13 საათიდან — თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

სსპ პრესცენტრი.

მილოცვა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია და შპს „პრესა" ულოცავენ სს „საქმშენელექტროს" გენერალურ დირექტორს, ბატონ ანზორ მენთეშაშვილს დაბადების 60 წლისთავს და უსურვებენ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ბედნიერებას ოჯახისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ამინდი

27 ოქტომბერს

დასავლეთ საქართველოში მშრალი ამინდია მოსალოდნელი, იქროლებს წამში 9-14 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 12-17, დღისით 22-27, მთაში — ღამით 8-13, დღისით 15-20, მაღალ მთაში — ღამით 2-7, დღისით 11-16 გრადუსი სითბო.

სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში მშრალი ამინდი იქნება, ტემპერატურა — სოხუმში ღამით 14-16, დღისით 23-25, ბათუმში, ქუთაისში — ღამით 15-17, დღისით 25-27 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 3-8, შიდა ქართლში 0-2, დღისით 15-20, მთაში — ღამით 0-5, დღისით 11-16, მაღალ მთაში — ღამით —2 +3, დღისით 7-12 გრადუსი სითბო.

ბორჯომის ხეობასა და სამცხე-ჯავახეთში ტემპერატურა — ღამით 0-5, დღისით 11-16, მაღალ მთაში — ღამით —2 +3, დღისით 7-12 გრადუსი სითბო.

კავკასიონისა და თრიალეთის საძოვრებზე — მშრალი ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ღამით 3-8, დღისით 15-20, მაღალ მთაში — ღამით 0-5, დღისით 11-16 გრადუსი სითბო.

თბილისში მშრალი ამინდი, იქნება სუსტი ქარი, ტემპერატურა — ღამით 6-8, დღისით 18-20 გრადუსი სითბო.

ხსოვნა

გიორგი ხარაული

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქალაქ გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილი რექტორი, უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი გიორგი ილიას ძე ხარაული.

დაიბადა 1907 წელს გორში, 1931 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობით და შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. მოსკოვის ასპირანტურაში, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ბატონმა გიორგიმ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების თითქმის 40 წელი უშურველად მოახმარა ქართლის შუაგულში ახლად ფეხადგმული პედინსტიტუტის განვითარებისა და განმტკიცების ეროვნულ საქმეს. სწორედ მისი უმწიკვლო და თავდადებული ხელმძღვანელობით გადაიქცა იგი მაღალკვალიფიციური მასწავლებლების საიმედო და სახელოვან სამჭედლოდ, მეცნიერების, განათლებისა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის მძლავრ კერად.

ბატონი გიორგის მშობლიური მზრუნველობით და მუდმივად მზარდი ყურადღებით ძალიან ბევრმა ახალგაზრდამ მოძებნა სამომავლო მოღვაწეობის სწორი გზა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და ახლაც შეაქვს მოზარდი თაობის აღზრდისა და მათი კვალიფიციური წინამძღოლების მომზადების საშვილიშვილო საქმეში.

ბატონი გიორგი, პირუთვნელობის, სინდის-ნამუსის, სიწმინდისა და პატიოსნების ცოცხალი განსახიერება, იგივე გრძნობით ზრდიდა თავის მოსწავლეებს, თანამშრომლებს და მთელ საზოგადოებას. ასეთი ადამიანები კი გარდაცვალების შემდეგაც რჩებიან მრავალრიცხოვან მოსწავლეთა ხსოვნაში გზის მაჩვენებელ მოძღვრად.

იგი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი, თვალსაჩინო ადამიანი, შთამომავლობას კი დაუტოვა დიდი სიკეთე, სიყვარული და სათნოება, მიმტევებლობის კაცური გრძნობა, რაც დიდხანს გაჰყვება საგზლად მის მეგობრებს, ნათესავებს, მის აღზრდილებსა და ოჯახის წევრებს.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო; შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის აპარატი; ქ. გორის და გორის რაიონის გამგეობა; გორის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტი.



თინათინ ცხვიტავა-მონავარდისაშვილი

გარდაიცვალა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, საქართველოს დამსახურებული ბუღალტერი, პერსონალური პენსიონერი თინათინ ისიდორეს ასული ცხვიტავა-მონავარდისაშვილი.

სულ 67 წელი იცხოვრა ამქვეყნად ქალბატონმა თინათინმა. აქედან, 38 წელიწადი იღვაწა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში. 22 წლის ახალგაზრდა ქალიშვილი მოვიდა სამინისტროში და 1988 წლამდე ამ დიდი ოჯახის ერთ-ერთი ღირსეული და ამაგდარი წევრი გახლდათ. ოთხი ათეული წლის მანძილზე თითქმის ყველა უბანზე იმუშავა.

დიდი გამოცდილებისა და ცოდნის მქონე ქალბატონი თინათინი ჩვენს მეხსიერებას ერთთავად მოკრძალებული, თავდახრილი და მომღიმარი სახით შემორჩა. ავადმყოფობამ ადრე დარია ხელი. მაგრამ საკუთარი ჯანმრთელობით შეჭირვებულს არასდროს დაზარებია სხვისთვის ხელის გაწვდენა და თავისი მოსიყვარულე გულის სითბოს გაცემა. სიკეთისა და თანადგომისათვის იყო გაჩენილი. სხვისი ჭირისა და სიხარულის გათავისების საოცარი ნიჭით იყო ცხებული.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი კეთილშობილი, ზნეკეთილი, ქართველი მანდილოსანი, კარგი სპეციალისტი, მშვენიერი მეუღლე და მეგობარი, ერთგული დედა და ბებია. იგი დააკლდა ოჯახს, ახლობლებს, ნაცნობებს, დააკლდა ყველა ჩვენგანს, ვისაც კი მასთან რაიმე ურთიერთობა ჰქონდა. ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლების ხსოვნაში დიდხანს იკიაფებს მისი ნაზი, სანდომიანი და მომღიმარი სახე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

სააქციო საზოგადოება „ტრანსმშენი" იუწყება, რომ გარდაიცვალა სატრანსპორტო მშენებლობის ღვაწლმოსილი მუშაკი, შრომის ვეტერანი

გივი ივანეს ძე გიორგოზიანი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მორიგე რედაქტორი ანზორ ბასილაია.

გამომცემელი შპს „პრესა"

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66484. ტელ: 99-78-24.

მთავარი რედაქტორი გურამ ბოჭიაშვილი.